ქვეყანაში შექმნილი ყველასთვის გასაგები ვითარების გამო, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ჩვენი ყოველდღიური გაზეთი გამოვა კვირაში სამჯერ - სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაბაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 17-18 მარტი. 2020 წ. №48 (8974) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ეს ხმაური არ არის შემთხვევითი, თორემ თვითონ ვირუსი შეიძლება, შემთხვევითია...“

ბაქტერიოლოგიური ომი ამერიკამ დაიწყო?!



ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ უხანში ეპიდემია აშშ-ის არმიას გაევრცელებინა. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილე ჩჟაო ლიჯიანი „ტვიტერში“ შემდეგ ტექსტს აქვეყნებს:

„როდის დაიწყო დაინფიცირება აშშ-ში? რამდენი ადამიანია დაინფიცირებული? რა არის საავადმყოფოების სახელები? ჩინეთის საგარეო უწყების წარმომადგენელი ამბობს, რომ შესაძლებელია აშშ-ის არმიამ მიიტანა ეპიდემია უხანში“. ჩინურ ვერსიას არ იზიარებს ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, თუმცა არ გამორიცხავს, ვირუსის ხელოვნურ წარმოშობას.

რამაზ საყვარელიძე დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადანაშაულა აშშ კორონავირუსის, როგორც ბიოლოგიური იარაღის გამოყენებაში ჩინეთის წინააღმდეგ. ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კორონავირუსი ამერიკელმა სამხედროებმა გაავრცელეს. ბატონო რამაზ, შესაძლებელია, რომ ვირუსის ამ სახით გავრცელების უკან, დიდი პოლიტიკური თამაშები მიმდინარეობდეს?

— შეიძლება, ასეც იყოს და ამ მოვლენის ხარჯზე ბევრმა სცადოს თავისი მიზნების მიღწევა. გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში დაპირისპირება, რომელიც უდავოდ არსებობს აშშ-სა და ჩინეთს შორის, ჩინეთმა გამოიყენოს თავის სასარგებლოდ და ბრალდება წაუყენოს აშშ-ს. მეორე მხრივ, თავად აშშ არ არის მოგებული ამ ვირუსით. ამიტომ, მე მაინც მეჩვენება, რომ ჩინეთის საგარეო უწყების განცხადება უფრო პოლიტიკური ინტერესებით არის გამოწვეული, ვიდრე ეჭვით, რომ ჩინელებს კორონავირუსი მართლაც ამერიკელებმა მიზანმიმართულად შეუგდეს.

— რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჩინეთი ამ გზით პანდემიაზე პასუხისმგებლობის მოხსნას ცდილობს?

— რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ ჩინეთს თავისი ინტერესები ჰქონდეს ამ ისტორიაში დამნაშვის ძიების დროს, მაგრამ რაც შეეხება პასუხისმგებლობას, მე გამიჭირდებოდა პასუხისმგებლობის კუთხით ჩინეთის დადანაშაულება. ნახეთ, რომ იტალიაში სწორედ იმიტომ დაიძრა ჩინელი ექიმების ჯგუფი, რომ ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას შექმნილი ვითარების გამო და უკვე ცდილობენ, რომ სხვას დაეხმარონ ამ ინფექციასთან ბრძოლაში. საერთოდ, გრიპების არსებული ეპიდემიები, რაც უკვე იყო, იმათთან შედარებითაც კი, კორონავირუსი არ გამოიყურება როგორც ძლიერი ვირუსი.

იხ. 8 გვ.

დიპლომატიური კორპუსი საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადავიდა

ჩვენი დიპლომატიური კორპუსი მთლიანად გადასულია საგანგებო მუშაობის რეჟიმზე, ყველა ელჩსა და საკონსულოს დავალებული აქვს, აქტიურ კომუნიკაციაში იყოს ჩვენს მოქალაქეებთან, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა.

მინისტრმა უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდა, მაქსიმალურად ისარგებლონ ქართული ავიაკომპანიებით.

5 მედიკამენტი, რომლითაც კორონავირუსით ინფიცირებულებს მკურნალობენ

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ **იმ მედიკამენტებზე ისაუბრა, რომელსაც კორონავირუსის სამკურნალოდ იყენებენ. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ჯერ არ არის რეკომენდებული ის მედიკამენტი, რომელსაც პირდაპირი ეფექტი აქვს კორონავირუსის მიმართ, იმ ქვეყნებში, სადაც ფართომასშტაბიანი ეპიდემიებია, 5-6 პრეპარატს იყენებენ.**

თენგიზ ცერცვაძის განმარტებით, ცალკეული კვლევის დონეზე, ექსპერტებში შექმნილია შეხედულება, რომ ზოგიერთი ეფექტურია, ზოგიერთი — ნაკლებად.

„ოფიციალური ინსტანციების მიერ ეს ჯერ არ არის დადასტურებული. რამდენადაც სხვა ქვეყნები იყენებენ ამ მედიკამენტებს, ჩვენც მივეცით ჩვენს თავს უფლება, რომ მათ მიერ რეკომენდებული საუკეთესო მედიკამენტი გამოვიყენოთ.

მაგალითად, შიდსის სამკურნალო მედიკამენტი — ლოპინავი-რიტონავინი, მეორე — რიბავინი, რომელიც C ჰეპატიტის სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება. მესამე — ხლოროხინი, დეზოქსი ხლოროხინი, რომელიც წარმატებით გამოიყენება რევმატიული და აუტოიმუნური დაავადებების სამკურნალოდ“, — აღნიშნა თენგიზ ცერცვაძემ.

რეკომენდებულ მედიკამენტთა შორის მან რენდესევინი გამოყო, რომელიც სპეციალურად ებოლას სამკურნალოდ არის შექმნილი, თუმცა ამ დაავადებაზე არ იმუშავა და ახლა, ექსპერტები ფიქრობენ, რომ კორონავირუსის სამკურნალოდ ეფექტური იქნება. თენგიზ ცერცვაძემ მოსახლეობას მიმართა, რომ პროფილაქტიკის მიზნით ეს მედიკამენტები არ გამოიყენონ და ამ წამლებს ექიმები მხოლოდ კორონავირუსის დადასტურების შემთხვევაში იყენებენ.

* * *



ბატონ თენგიზ ცერცვაძეს გუშინ 72 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ამ ღირსეულ ადამიანს და ბრწყინვალე პროფესიონალს დაბადების დღეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მილიონობით ქართველი და უცხოელი პაციენტის საკეთილდღეოდ!

ბატონო თენგიზ, მარტოოდენ თქვენი გამოჩენაც კი ტელეეკრანზე დიდი იმედის მომცემია დღეს ათასი სენით (და არა ოდენ კორონავირუსით!) დაავადებული თითოეული ქართველისთვის!

გფარავდეთ ღმერთი თქვენ და თქვენს ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს!

ფარავდეს ღმერთი სრულიად საქართველოს!

ახალი სამთავრობო გადაწყვეტილებები კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ

საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში ახალი გადაწყვეტილებები მიიღეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

1. 18 მარტიდან, ორი კვირით იკრძალება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შემოსვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის;

2. დროებით იკეტება საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტები;

3. კაფეებს, რესტორნებსა და ბარებს ეძლევათ რეკომენდაცია, დროებით შეიზღუდოს მოქალაქეების უშუალო მომსახურება და იმოქმედოს მხოლოდ ე.წ გატანის სერვისებმა;

4. მთავრობის ადმინისტრაციაში იქმნება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმი;

5. 70 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს ეძლევათ რეკომენდაცია, მაქსიმალურად მოერიდონ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და შეძლებისდაგვარად იმყოფებოდნენ იზოლაციაში, რათა თავიდან იყოს აცილებული პოტენციური საფრთხე მათი ჯანმრთელობისთვის.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ არსებობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი 4 განზომილება, რომლის ეფექტური მართვაც საბოლოო ჯამში არსებულ გამოწვევასთან გამკლავებაზე აისახება. ესენია — ჯანდაცვა; ეკონომიკა; ლოგისტიკა და მარაგების მართვა; საზოგადოებრივი წესრიგი.

თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი პროფილის მინისტრი.

საბჭოს სხდომაზე მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების ჯანმრთელობისა და საჭიროების შემთხვევაში კლინიკების მზადყოფნის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით ინფიცირებულია 33 ადამიანი. უმეტესობის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია. ყველა პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მათ შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

საკოორდინაციო საბჭოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 637 ადამიანი, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ რჩება — 54 პირი. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მოქალაქეებს, შეასრულონ ჯანდაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მაღალი შეფასება

საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორ ტედროს ადანომ გებრეიესუსს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ინფორმაციას პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, საუბარი საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით გაიმართა და პრეზიდენტმა ტედროს გებრეიესუსთან ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული ვითარება განიხილა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა დაადასტურა, რომ ახალი კორონავირუსის დაძლევის პროცესში ორგანიზაცია საქართველოს კვლავ აქტიურად გაუწევს ტექნიკურ და საექსპერტო დახმარებას. მან მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მხრიდან კორონავირუსის გავრცელების საფრთხისადმი რეაგირებას. სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო ზედმიწევნით მიჰყვება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს, ქვეყანაში სიტუაცია კონტროლსა და მართვას ექვემდებარება.

საქართველოს პრეზიდენტმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელისგან მიიღო პირობა ვირუსთან გამკლავების კუთხით ტექნიკური და საექსპერტო მხარდაჭერის კვლავ გაგრძელების შესახებ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებასთან კოორდინირებულ მუშაობასა და მჭიდრო თანამშრომლობას კვლავაც გააგრძელებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა საქართველოს პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა იმ ზომებისათვის, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ ახალი კორონავირუსის პრევენციისათვის გაატარა და განაცხადა, რომ დღევანდელი კომუნიკაციაც სწორედ თანამშრომლობისთვის სრული მზაობისა და მაღალი პოლიტიკური ნების გამოხატულებაა.

საუბრისას განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაში კორონავირუსის გავრცელების რისკებისგან დაცვის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ორგანიზაცია მის ხელთ არსებულ ყველა რესურს გამოიყენებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის პანდემიისგან დასაცავად.

თბილისის მერია სასწავლო, სამედიცინო და სხვა მუნიციპალური პროგრამების სახელფასო დაფინანსებას გააგრძელებს

„ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მოსახლეობის დამატებითი რისკებისგან დაცვის მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტი ინტენსიურ რეჟიმში მუშაობს და ეძებს გზებს, ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, როგორ შეიძლება შევუმსუბუქოთ მდგომარეობა ჩვენს მოსახლეობას.

როგორც იცით, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, დროებით შეჩერებულია სასწავლო პროცესი და რიგი სასწავლო, სამედიცინო თუ სხვა ტიპის მუნიციპალური პროგრამების მუშაობა.

თბილისის მერია ითვალისწინებს შექმნილ მდგომარეობას და იმის გამო, რომ ამ პროგრამებში და დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანები ამ რთულ სიტუაციაში შემოსავლის გარეშე არ დარჩნენ, უწყვეტად განვაგრძობთ ამ პროგრამების (სახელფასო) დაფინანსებას.

კერძოდ, მომსახურების შეჩერების მიუხედავად, გაგრძელდება — არამუნიციპალური სპორტული სკოლების, საცურაო აუზებისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრების პედაგოგ-მასწავლებლების ხელფასების დაფინანსება, რომელიც გაიცემა იმ პირობით, რომ COVID 19-ის გავრცელებით გამოწვეული საფრთხის პერიოდის დასრულების შემდეგ, პედაგოგ-მასწავლებლებმა უნდა აანაზღაურონ ყველა გაცდენილი საათი.

გარდა ამისა, გაგრძელდება სოციალურად დაუცველი, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების, ასევე, არამოთხოვნადი სპეციალობებით დაინტერესებული მოსწავლეების პროგრამის დაფინანსება“, — აღნიშნა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სწავლების შეჩერების მიუხედავად, გაიცემა მერიის ბალანსზე არსებულ კულტურული, სპორტული, საგანმანათლებო და ახალგაზრდულ ცენტრებში დასაქმებული პერსონალის — მწვრთნელებისა და პედაგოგების მარტის თვის სახელფასო ანაზღაურება. მათ შორის საუბარია ხელოვნების სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგებზეც.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროება არ დადგება, თუ...

იმ შემთხვევაში, თუ ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ყველა ღონისძიება ხარისხობრივად კარგად შესრულდება, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროება არ დადგება, — ამის შესახებ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა.

სოსო რამიშვილი: საგამოძიებო სამსახური შეუფერხებლად განაგრძობს მუშაობას

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის სოსო რამიშვილის განცხადებით უწყება ბოლო დღეების განმავლობაში აქტიურად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად.

მისივე თქმით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მითითებით, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სამსახურის ადმინისტრაციულ შენობასა და რეგიონულ ოფისებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. მუდმივად ხორციელდება თანამშრომელთა ინფორმირება ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების შესახებ და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია მათი დაცვა. ამასთან, რისკ-ჯგუფში შემავალ პირებთან შესაძლო კონტაქტის მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით, საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, დროებით დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი (კერძოდ, ის თანამშრომლები, რომელთაც შეუძლიათ სამსახურებრივი საქმიანობის დისტანციურ რეჟიმში განხორციელება სახლიდან გაუსვლელად).

დამცავი ბარიერები იუსტიციის სახლში

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, იუსტიციის სახლმა მომსახურების სივრცის მაგიდებზე მინის დამცავი ბარიერების მონტაჟი დაიწყო.

სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოს პრესსამსახურის ინფორმაციით, შესაბამისი სამუშაოები იუსტიციის სახლში შაბათ-კვირას მიმდინარეობდა და ბარიერების მონტაჟი უკვე დასრულებულია უცხოენოვანი მომხმარებლის მომსახურებისთვის განკუთვნილ და საკონსულტაციო სივრცეებში, ჯამში 180 მაგიდაზე. მონტაჟი მთლიანად დასრულდა ხანგრძლივი სივრცის მომსახურების მაგიდებზე. ჯამში, თბილისის იუსტიციის სახლში მინის დამცავი ბარიერი 328 მაგიდაზე დამონტაჟდება. მომსახურების პროცესში ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის ბარიერის შექმნა წარმოადგენს რეკომენდებულ პრევენციულ ზომას.

ამასთანავე, მომხმარებელსა და ოპერატორს შორის დისტანციის გაზრდის მიზნით, ყველა მაგიდა კლავიატურის დაგრძელებული სადგამით აღიჭურვება, რაც სრულად უზრუნველყოფს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ ერთმეტრიან დისტანციას.

რაც შეეხება სწრაფი მომსახურების სივრცეს, რომელსაც მომხმარებელი მზა დოკუმენტის გასატანად მიმართავდა, 13 მარტს გამოქვეყნებული შეზღუდვების თანახმად, დროებით გაუქმებულია და მზა დოკუმენტების გატანა თბილისის იუსტიციის სახლის მომხმარებელს მხოლოდ „ჯასთ დრაივის“ სარკმლებიდან შეეძლება, რომელიც იუსტიციის სახლის შენობის მარცხენა ფლიგელზე, ავტოსადგომის მხარეს მდებარეობს.

მამუკა მდინარაძე: შევეცდებით, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა შეძლებისდაგვარად დავაჩქაროთ და დისტანციური ფორმით ჩავატაროთ

„ჩვენ დაჩქარებულ რეჟიმში რაც კი შესაძლებელია რეგლამენტის მიხედვით, ჩავატარებთ, მათ შორის საყოველთაო-სახალხო განხილვებსაც. ამ განხილვებს შევეცდებით, ჩავატაროთ დისტანციური ფორმით. მოგეხსენებათ, რომ მინიმუმ ორ რეგიონში მაინც უნდა გაკეთდეს. ამიტომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ, სავარაუდოდ, რომ ტელეხიდების მეშვეობით ან სხვა საკომუნიკაციო წყაროების მეშვეობით დავსხდეთ, მოვუყვეთ საზოგადოებას იმ ტექსტის, იმ ცვლილებების შესახებ, რაც შედის კონსტიტუციაში. არანაირი შეფერხება სახალხო განხილვებს არ უნდა ჰქონდეს, ჩვენ ამას მოვახერხებთ, პრობლემა არ არის არანაირი, ამაზე სანერვიულო არავის აქვს და ამასთან დაკავშირებით არც პოპულაციის საშუალებას მივცემთ არავის.

არავის ჰქონდეს მოლოდინი, რომ უახლოეს დღეებში პარლამენტი გადაწყვეტილებებს მიიღებს დისტანციურად. ასეთი რამე ჯერ არც კანონმდებლობით არის. არის მხოლოდ ინიციატივა, რომლითაც დავაზღვიეთ ჩვენ მხოლოდ დრო, რადგან ურთულესი საკითხია, მიდის მუშაობა ინტენსიურად სპეციალისტებთან, რამდენად შესაძლებელია რისკების გამორიცხვა. შეიძლება, ეს ყველაფერი შეიცავდეს როგორც პოლიტიკურ, სამართლებრივ, ასევე ტექნიკურ რისკებსაც. სპეციალისტებთან საუბრის დროს ჩვენ შევეცდებით, გავერკვეთ ყველა დეტალში, რისკები გამოვრიცხოთ მაქსიმალურად. ვერც იმის გარანტიას მოგცემთ, რომ ეს პროექტი მიიღებს კანონის სახეს, რადგან ის მარტივი რომ ყოფილიყო, თანამედროვე მსოფლიოში ბევრს ექნებოდა. ჩვენ, უბრალოდ, დავაზღვიეთ დრო, რათა დებულიყო პროექტი, ახლა უკვე სიღრმისეულად მიდის მუშაობა სპეციალისტებთან. თუკი რაიმე რისკი იარსებებს, მაშინ კანონმდებლობა იქნება ისე, როგორც არის და ჩვენ ამ რისკზე არ წავალთ“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მოქალაქეთა გადაადგილება დროებით შეჩერდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას დავალებით, პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე ტელეფონით ესაუბრა საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე ორმხრივი დიალოგის (ე.წ. პრაღის ფორმატი) ფარგლებში რუსეთის ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელს, რუსეთის ფედერალური სათათბიროს ფედერალური საბჭოს წევრს გრიგორი კარასინს.

კორონავირუსის საფრთხის გავრცელების გათვალისწინებით, საუბრის დროს განხილულ იქნა საკითხი მიმდინარე წლის 16 მარტიდან საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მოქალაქეთა გადაადგილების დროებით შეჩერების შესახებ. აღინიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება არ გავრცელდება შესაბამისად რუსეთის ფედერაციის და საქართველოს იმ მოქალაქეებზე, რომლებიც გამოთქვამენ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების სურვილს. შეზღუდვები არ გავრცელდება სატვირთო გადაზიდვებზე.

„საკონსტიტუციო ცვლილებები ვარდება“-

ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებიც აღარ ჩატარდება?!

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, საქართველოში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება ვეღარ ესწრება.

მეტიც, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, თუკი ქვეყანაში არსებული ვითარება არ დასტაბილურდება, დღის წესრიგში შესაძლოა, ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნების თარიღის გადაწევის აუცილებლობაც დადგეს.

პოლიტიკის ექსპერტი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანაში კონსტიტუცია „გაჩერებულია“ და, შესაბამისად, საგანგებო ვითარებაში, არჩევნების ჩატარებაზე და საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებაზე საუბარი უკვე ზედმეტია. **„საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ხელისუფლების საპრეზიდენტო მმართველობაში გადასვლას ნიშნავს.**

რადგან ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა დეკრეტების საფუძველზე იმართება და უამრავი შეზღუდვა არსებობს, ამ პროცესს, დიდი ალბათობით, საპარლამენტო არჩევნების თარიღის გადაწევაც მოჰყვება. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ვერც საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდება და ის ვარდება, რადგან საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ყველაფერი, მათ შორის, კონსტიტუცია და კანონმდებლობა ჩერდება“, — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

რა არის საგანგებო მდგომარეობა და რა შემთხვევაში ცხადდება იგი?!

„საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ კანონის მიხედვით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, ეპიდემიის არსებობს დროს, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

„მუხლი 1. 1. საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

2. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა“, — წერია ქვეყნის უმაღლეს კანონში.

ეკატერინე ზარნაძე

ანდრო კიკაბიძე: გთხოვთ! ნუ დაღუპავთ ერთმანეთს!

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის თანამშრომელი **ანდრო კიკაბიძე** სოციალურ ქსელში ქვეყანაში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ პოსტს აქვეყნებს.

რაც არ უნდა ეცადოს სახელმწიფო, რომ ვირუსი არ გავრცელდეს, იმ სამოქალაქო შეგნებით, რომელსაც ყოველდღე ვუყურებ საზღვარზე მოქალაქეების მხრიდან, მაქსიმუმ 2 კვირით შეაჩეროს სახელმწიფომ ეს ეპიდემიური აფეთქება თუ ხალხის თვითშეგნებაზე იქნება დამოკიდებული. ან თუ ხალხი ვერ გაითავისებს, რა ხდება.

ჩამოსული მოქალაქეების უმეტესობა:

— იტყუება საზღვარზე თავისი მოგზაურობის ისტორიას შესახებ;

— იტყუება სიმპტომებს და სვამს სიცხის დამწევებს (დალიე, აბა რა უნდა ქნა, სიცხიანი ხომ არ იმგზავრებ, მაგრამ რომ ჩამოხვალ, თქვი!);

— ყველას 3 სახლი როგორ აქვს, ოღონდ თვითიზოლაციაში გაუშვან (და, რა თქმა უნდა, აეროპორტიდანვე რესტორანში წავა და იტრაბახებს, როგორ მოატყუა მესაზღვრე და ექიმი);

— პანიკებში ვარდება როგორც კი კარანტინს უსსენებ, წივის, კივის, იფარჩხება და ა. შ.

— გორში ან შორეულ ქალაქებში წასვლაზე უარს ამბობენ, თბილისში უნდა კარანტინის მოხდა (თითქოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ, კარანტინში სად იქნები, მაინც ცხვირს ვერ გაყოფ გარეთ). შეიგნეთ, რომ ამ პატარა ქვეყანაში არ გვაქვს ფუფუნება, ყველა თავის ქალაქში ვიყოთ კარანტინში;

— უზრდელობა, უპატივცემულობა, შეუგნებლობა, პრეტენზიები პოლიციელების, ოფიცრების და თანამშრომლების მიმართ, რომლებიც 24 საათი ამ საშიშროებას თვალებში უყურებენ, ოჯახებში იმის შიშით მიდიან, რომ შვილს, ცოლს და დედას შეიძლება ვირუსი გადადონ, იმიტომ, რომ უამრავ შეუგნებელთან ლაპარაკისას შეიძლებოდა გადადებოდა და არც იცის;

— „6 საათია გზაში ვარ, 3 საათი ვერ დავიცდი სპეციალურ კარავში ან ზონაში, რომ სპეციალურმა დეზინფექცირებულმა ტრანსპორტმა კარანტინში გადამიყვანოს, ეს რა უბედურებაა, რა მომსახურებაა, არანაირი კომფორტი“ (რა კომფორტი!!!! გეგონება 5-ვარსკვლავიან სასტუმროში იყვნენ და სახელმწიფოს სერვისს უწუნებენ საყოველთაო პანდემიის დროს, როცა ყველაფერი წამიერად იცვლება მთელ მსოფლიოში და ჩვენც ამაზე ვართ დამოკიდებულები). ამ დროს მესაზღვრეები და თანამშრომლები 48 საათის უძინარები ფეხზე დგანან და მისნაირ ქვეყნის მტერს უძლებენ ყოველ 2 წუთში, 5-ს ერთად.

— რომ ვნერვიულობ, სიცხე მიწევს.

— მე სულ 37.5 მაქვს სიცხე.

— იტალიაში რა მინდოდა, არ ვყოფილვარ, კიევიდან მოვფრინავ (Facebook-ზე 4 დღის წინ სურათი აქვს დადებული კოლიზეუმთან).

— არავის შევხებივარ იტალიაში, სულ სახლში ვიყავი და სახლშიც კი პირბადე მეკეთა...

— არანაირი პატივისცემა ფორმის, ასაკის, სქესის, სტატუსის, ზრდილობის! არაფრის მიმართ!

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ასეთ რაღაცებს ძირითადად ახალგაზრდები აკეთებენ (ჩემი თაობა), რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ და ჩვენი მომავლის ინტელექტუალური მარაგია!

გთხოვთ ყველას, ვინც ამას კითხულობთ, გაისიგრძეგანეთ, რომ მსოფლიო პანდემია არის მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი საშიშროება კაცობრიობისთვის და ყველაზე მეტად ჩვენნაირი პატარა და სუსტი ქვეყნები დაზარალდებიან. გამოიჩინეთ ის სანაქებო ქართული გვერდში დგომა და 2 კვირა მოუფრთხილდით საკუთარ თავებს, რომ სხვებიც უსაფრთხოდ იყვნენ!!! მესაზღვრეები, მებაჟეები, ექიმები და ყველა სხვა თანამშრომელი, ყველანაირ ადამიანურ ლიმიტს არიან გამცდარები თავიანთი მუშაობით! საკმაოდ დიდი თანამდებობის პირებს ჩვეულებრივი რიგითისგან ვერ გაარჩევთ, ისეთი მონდომებით და პატრიოტიზმით მუშაობენ და ისეთ საქმეებს აკეთებენ! წარმოუდგენელ გამძლეობას და მონდომებას იჩენენ და დაუფასეთ! პატივი ეცით, რასაც გეუბნებიან, დაემორჩილეთ და არაფერი გვემუქრება. 25 ინფიცირებული რომაა დღეს და არა 25 000, ისევ ამ სიმკაცრის, ქვეყნის და ამ თანამშრომლების დამსახურებაა, უბრალოდ, იცოდეთ მათაც აქვთ ზღვარი, გული აუცრუვდებათ იმათზე, ვინც უნდა დაიცვან და მერე აღარაფერი გიშველით.

არც ის ხელფასი და არც ის წოდება არ ღირს იმად, რასაც ეს ხალხი უძლებს და უყურებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანა და საკუთარი ხალხი უყვართ! 23 წლის ლაწირაკი რომ თვალების ქაჩვით 60 წლის ოფიცერს უყვირის, მაშინ, როცა ის კაცი ქვეყანას იცავს და ისევ მასზე და მის ოჯახზე ზრუნავს, არანაირ მორალში და შეგნებაში არ ჯდება! დაუდექით გვერდში ერთმანეთს, არაა დღეს პრეტენზიების და შეუგნებლობის დრო!

გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებიან, თუ არა და, დავადგებით იტალიის, ირანის და სხვა ეპიდაფეთქების პირას მყოფი ქვეყნების გზას! გადავშენდებით, ან კაი ვარიანტში ქვის ხანაში აღმოვჩნდებით.

გთხოვთ! ნუ დაღუპავთ ერთმანეთს!

„ჩვენ, საჯარო ადამიანები, რომლებიც ვპოლიტიკოსობთ, ვექსპერტრობთ, ვანალიტიკოსობთ, ვჟურნალისტობთ, ვმასწავლებლობთ თუ ვმოხელეობთ, არ უნდა ვსაუბრობდეთ ზიზღის ენით და ქილიკით“, — ამის შესახებ ბრიგადის გენერალმა, სამხედრო ექსპერტმა ამირან სალუქვაძემ „რეპორტიორთან“ ინტერვიუში განაცხადა.

სიკვდილის ყველა კარი ჩავრაზოთ...

ყურადსაღები ინტერვიუ ამირან სალუქვაძესთან, რომელიც აუცილებლად უნდა წაიკითხოთ!

ამირან სალუქვაძე თვლის, რომ საზოგადოება კარგა ხანია, საინფორმაციო ტერორის ქვეშაა, რასაც მავანი პოლიტიკური დაკვეთით ახორციელებს. მისივე თქმით, სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის შესანარჩუნებლად, აუცილებელია, ზიზღისა და აუტანლობის ენა საქმიანი დისკუსიებით შევცვალოთ, სიხარულისა და კეთილი საქმის აღიარება შევძლოთ:

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, მოსახლეობის დამთრგუნველი საინფორმაციო პოლიტიკა მიმდინარეობს, უკულმა ავრცელებენ ინფორმაციებს, განსაკუთრებით ტელევიზიები და რატომ უკვირთ, რომ ეს ყველაფერი პრეზიდენტის ანგარიშში მოხვდა, არ ვიცი? დამკვეთს პოლიტიკური მიზნები აქვს, მაგრამ ერთია პოლიტიკური მიზნები და მეორე — საკუთარ მოსახლეობაზე ცდები. რამდენიმე წლის წინათ ამ ყველაფერს საინფორმაციო ტერორი შევარქვი, რაც საკუთარ მოსახლეობასთან დღემდე ხორციელდება.

— ცდებში რას გულისხმობთ, ბატონო ამირან?

— ის, რა ზეგავლენაც აქვს არსებულ საინფორმაციო პოლიტიკას მოსახლეობაზე, არის ძალიან მავნებელი, ანგრევს ფსიქიკას, თრგუნავს ადამიანს, მის განწყობებს, თაოსნობას, ეკონომიკურ აქტივობებს და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის ეს ნიშანდობლივი დაავალებები, რაც პირდაპირ მოსახლეობის ფსიქიკისკენაა მიმართული?

— დავალებები მოდის ტელევიზიების მფლობელებისა და იმ პოლიტიკური ძალების მხრიდან, ვინც მათ უკან დგას. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება გვიან გამოფხიზლდა. წელიწადნახევარია, რაც აქტიურ საინფორმაციო პოლიტიკას ვადევნებთ თვალს ხელისუფლების მხრიდან. ეს დაიწყო, მეტწილად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ, შედარებით დაბალანსდა ვითარება, მათ შორის, რეიტინგების კუთხითაც, ტელეკომპანია „იმედმა“ გადაინაცვლა პირველ ადგილზე და ეს მხოლოდ იმიტომ არ მომხდარა, რომ იქ მეტმა პროფესიონალმა მოიყარა თავი. ადამიანების განწყობებიც იცვლება ნელნელა, თუნდაც სოციალურ ქსელში, ამოუვიდა ყელში ხალხს ამდენი ნეგატივი. ამასაც თავისი მოქმედების ვადა აქვს. 8 წელია, ზიზღისა და სიძულვილის პროპაგანდა გრძელდება და დაიღალა ხალხი.

— უკულმა ავრცელებენ ინფორმაციებსო, აღნიშნეთ და დაგვინიშანდობლეთ, რას გულისხმობთ...

— ნებისმიერ ჟურნალისტს, მაქსიმუმ რამდენიმე დღეში, შეუძლია ობიექტური და დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება და თავად დარწმუნდება, რასაც ვგულისხმობ. აიღეთ წამყვანი რეიტინგული ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებები, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე და შეადარეთ იმავე ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებს, უკვე 1 ოქტომბრის შემდეგ მთავარი აქცენტი, მთელი ამ წლების განმავლობაში, წინა წლებისგან განსხვავებით, მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციაზე კეთდება.

ავიღოთ, მაგალითად, კრიმინალის გაშუქება და შევადაროთ ევროპული და ამერიკული ტელევიზიის სტადარტებს. იქ საინფორმაციო გამოშვებები იწყება მნიშვნელოვანი შიდა თუ საგარეო პოლიტიკური სიახლეებით, მაგრამ როგორც წესი, შიდა პოლიტიკური სიახლეების შემდეგ, შუქდება შიდა ეკონომიკური თუ კულტურის სიახლეები, რაც მოსახლეობის კეთილდღეობისკენ არის მიმართული, შემდეგ — საზღვარგარეთის მნიშვნელოვანი ინფორმაციები. კრიმინალი, როგორც წესი, სადღაც მეორე ან მესამე ბლოკში შუქდება, ისიც, თუ რაიმე განსაკუთრებული მძიმე შემთხვევა მოხდა და არა — ყველაფერი, ვინ ვის დანა გაუყარა, ვინ ვის ეჩხუბა! ნებისმიერი ქვეყნის საინფორმაციო გამოშვებები აიღეთ და ნახავთ, თუ ის სადმე მსგავსი ინფორმაციებით იწყება, როგორც ჩვენთან...

— ცნობილია, რომ წლების განმავლობაში მედიამონიტორინგის საკითხებზე მუშაობდით, თქვენი რჩევები მედიის წარმომადგენლებისთვის ნამდვილად საყურადღებო იქნება...

— 7 წლის განმავლობაში ვმუშაობდი მედიის მონიტორინგზე, უცხო ქვეყნების მედიის ანალიზსა და ანალიტიკური პროდუქტების შექმნაზე და ძალიან კარგად ვიცი, იქ როგორ არის აწყობილი ტელევიზიები, თუნდაც ბეჭდვითი და ინტერნეტ-გამოცემები... აქ ეს ყველაფერი ამოყირავებულია.



რადგან კრიმინალზე ვსაუბრობთ, ავიღოთ და შევადაროთ, როგორ შუქდებოდა და შუქდება კრიმინალი დღევანდელი და თუნდაც წინა ხელისუფლების დროს (შორს რომ არ წავიდეთ). 2010 წლის კრიმინალის სტატისტიკის მიხედვით (არ დაგავიწყდეთ, ეს ის წელია, როდესაც სხვა წლებთან შედარებით, ბევრად ნაკლები კრიმინალური შემთხვევა ხდებოდა), დაახლოებით ყოველ მეორე-მესამე დღეს ხდებოდა განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ასევე გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა, მობილურების, მანქანების ქურდობა... თუ არ ვცდები, 300-მდე ავტომობილია მოპარული მხოლოდ 2010 წელს და მთლიანობაში 31 ათასი სამართალდაღვევაა აღრიცხული. ეს რიცხვი რომ 365-ზე გავყოთ, დღეში დაახლოებით 85-90 სამართალდარღვევის ფაქტს მივიღებთ. აქ შედის მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ. ათასობით ფაქტი იყო ყოველთვიურად ძარცვის და ყაჩაღობის, ადამიანების უკანონოდ გატაცების, მძევლად აყვანის და ა.შ. მე გეუბნებით ამას საუკეთესო წელს, კრიმინალის თვალსაზრისით, თორემ თუ ცოტა უკან გადავახვევთ, 2-ჯერ მეტი სამართალდარღვევის ფაქტი ხდებოდა წლის განმავლობაში, მაგრამ არ შუქდებოდა ეს და სწორადაც კეთდებოდა, რომ არ შუქდებოდა.

— ანუ თქვენ თვლით, რომ სამართალდარღვევის ფაქტები უნდა დავმალოთ? წინა ხელისუფლება კრძალავდა მათ გაშუქებას?

— არ უნდა დავმალოთ, მაგრამ თავის ადგილას, დოზირებულად უნდა გავაშუქოთ. რა თქმა უნდა, „ნაციონალების“ ხელისუფლება კრძალავდა მსგავსი ფაქტების განიადაგებით გაშუქებას, ისევ თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე. კრიმინალი შუქდებოდა, ოღონდ იქ, სადაც უნდა გაშუქდეს, საინფორმაციო გამოშვებების მეორე-მესამე ბლოკში. როდესაც რეზონანსული მკვლელობა ხდებოდა, საინფორმაციო გამოშვებები აშუქებდნენ ამას, მაგრამ ეს იყო ცალკეული შემთხვევები და არა ისე, რომ დღეში 10 გამოშვებაა და ათივე იწყება სიუჟეტით მკვლელობაზე, ყაჩაღობასა თუ ქურდობაზე. მთავარია, პირველი ეს გითხრან, ეს ინფორმაცია მოგაწოდონ და დანარჩენს უკვე მოისმენ თუ არა, აღარ აგულისყურებთ. ამას შეგნებულად აკეთებენ, რადგან ყოველდღიური ნეგატივი საზოგადოებაზე მოქმედებს და ადამიანებში დაუცველობის განცდას აყალიბებს. ეს არის მედიის დამსახურება, მაგრამ მედია პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელია ამ შემთხვევაში. იმას კი არ ვამბობ, რომ დავუმალოთ ადამიანებს უარყოფითი ინფორმაციები და არ ვაჩვენოთ, უბრალოდ, გავაშუქოთ იმ ბლოკში და იმ დოზით, როგორც საჭიროა. ჯერ უნდა შუქდებოდეს ძირითადი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიახლეები და შემდეგ სხვა დანარჩენი. ზიზღის და აუტანლობის ენა საქმიანი, პროფესიონალური, თემატური კრიტიკით და დისკუსიებით უნდა შევცვალოთ, კარგის აღიარება და სიხარულის გამოხატვა შევძლოთ, ცუდი გავაკრიტიკოთ და დავგმოთ. დაძაბული ფონი უნდა განიმუხტოს, სხვაგვარად მოქმედება სახელმწიფოებრიობის და ქვეყნის საწინააღმდეგოა.

მეტწილად, მაქსიმუმ 3-4 არხს უყურებს ადამიანი და როგორც წესი, უყურებენ საინფორმაციო გამოშვების დასაწყისს, სადაც არის მძაფრი სიუჟეტები, ხოლო როგორც კი დაიწყება პოზიტიური სიახლეები, რომ სადმე საწარმო, ავტობანი თუ საავადმყოფო გაიხსნა, ხელისუფლების წარმომადგენელმა მნიშვნელოვან სიახლეზე ისაუბრა, მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა და ა.შ. ამას ისეთ დროს აშუქებენ, რომ აღარავინ უყურებს...

მე ძალიან მიყვარს ეს პროფესია და ჟურნალისტები, იმის მიუხედავად, რა დავალებებსაც უნდა ასრულებდნენ ისინი, თუმცა, ზნეობის ამბავიცაა. შეიძლება, აკეთებდე მსგავს სიუჟეტებს, მაგრამ ვაკვირდები სოციალურ ქსელში და ვხედავ, რომ არა მხოლოდ სამსახურის გამო ასრულებენ ამას, არამედ, თვითონ დგანან ამ ნეგატიურ პოზიციებზე. წარმოუდგენელია, ადამიანი დღეში 15-20 სტატუსს აქვეყნებდე და ყველა იყოს ნეგატიური... დაიკავებ მობილურს ხელში, დილიდან, ყავის დალევამდე იწყებ და ამთავრებ ნეგატივით... ამ ნეგატივზე „შესვეს“ ადამიანები, უბრალოდ...

მე ახლა ამით, რასაც ვსაუბრობ, იმას არ ვამბობ, რომ აყვავებულები ვართ, რომ ძალიან მაგრად ვცხოვრობთ, თუმცა, საბედნიეროდ, არც ისეა დანგრეული ქვეყანა, როგორც ამას აჩვენებენ და როგორი მცდელობაც არის.

— თქვენ თვითონ რომელ საინფორმაციო გამოშვებებს ენდობით, გაქვთ ტაბუირებული არხები?

— რამდენიმე არხს თვითონ ვყავარ „შავ სიაში“, რადგან არ ვლაპარაკობ ისე, როგორც მათ აწყობთ. მაგალითად, თუ მათ მიერ გავრცელებული რაიმე ინფორმაციით სოციალური ქსელი არ აფეთქდა, „მთავარ არხზე“ არ გადავრთავ. მათაც „შავ სიაში“ ვყავარ. სხვათა შორის, 2 წელია, არც საზოგადოებრივი არხის რესპონდენტი ვყოფილვარ. როგორც ჩანს, არც მათ მოვწონვარ.

— ბატონო ამირან, როგორ ფიქრობთ, რამდენად მომზადებული შეხვდა ჩვენი სახელმწიფო მსოფლიოში გავრცელებულ ვირუსს და რა კეთდება იმისათვის, რომ უარყოფითი შედეგები თავიდან ავიცილოთ?

— პირველ რიგში, დავიწყებ ინფორმაციის გაშუქების პასუხისმგებლობით, რადგან როცა ასეთი თემის პანიკური გაშუქება ხდება, დაახლოებით იგივეა, რომ შენს მეზობლად სახლს ცეცხლი ეკიდოს და შენ თუ ნავთს არ ასხამ, დგახარ და სეირს უყურებ. ეს ისეთი თემაა, რომელიც რამდენადაც უნდა გააპოლიტიკურო, მაინც შენ შეგეხება, შენს ახლობელს და ოჯახის წევრს შეეხება. ვიღაცას ხელფასი აქვს თვეში 30 ათასი და პანიკა შეიძლება სულაც არ ადარდებდეს, ბოლოს და ბოლოს, სულ რომ ქვეყანა ჩამოიქცეს, აქვთ, ალბათ, შემოსავლები და რესურსები, რომ აქედან გაასწრონ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც წასვლას არსად აპირებენ არც ეპიდემიის და არც ომის შემთხვევაში. არის რაღაც ელემენტარული სტანდარტები, რაც უნდა გავითვალისწინოთ. ეს არის, კარგი გაგებით, თვითცენზურა და საზოგადოების მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებები. ამ ნიშანდობლივ შემთხვევაში რა არის საზოგადოების მიზანი?! — ზედმეტი პანიკის გამოწვევა თუ ნეგატივის ზომიერად გაშუქება, ისე, რომ ხელისუფლების ყურადღება მიიქციო გარკვეულ პრობლემებზე?! —

ურემი ბევრჯერ გადაბრუნდა, გზა მაინც არ ჩანს!

ამას როგორ იზამ, ეს არის ხელოვნება. ერთია, როცა მიკროფონით შევარდები სასწრაფოს მანქანაში ან ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებულ კამერაში, მეორე – იგივე შეგიძლიათ, ქნათ შორი კადრებით, ისე, რომ არც ჟურნალისტს შეექმნას საფრთხე და არც მოსახლეობა დაპანიკდეს ზედმეტად. აურზაური ყოველთვის არის მავნე და ვიხილეთ ჩვენ ამის გამოვლინება, როცა გარკვეულ ჰიპერმარკეტებში რიგები დადგა.

რა თქმა უნდა, შეგიძლია მწვავე ფორმითაც მოსთხოვო ხელისუფლებას პასუხი, ოღონდ კარგად მოგეხსენებათ ჟურნალისტებს, როგორ კეთდება ნორმალური სიუჟეტი, თუნდაც ძალიან მწვავე და რას ნიშნავს აურზარი, – ეს ორი სავსებით განსხვავებული ცნებაა.

– საქართველოში უკვე კორონავირუსის 33 შემთხვევა დადასტურდა. თუმცა, საიმედოდ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ აქამდე შიდა გავრცელების არც ერთი ფაქტი არ დადასტურებულა და ვირუსი მხოლოდ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ საქართველოს მოქალაქეებს დაუდასტურდათ...

– მოსალოდნელიც არის ცალკეული შემთხვევები იქიდან გამომდინარე, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ვირუსი საკმაოდ გავრცელებულია, ბევრი ჩვენი მოქალაქეა, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან. კარგია, რომ ჩაატარეს მოკვლევა, რამდენ ადამიანთან ჰქონდა კავშირი დაინფიცირებულს და აიყვანენ კონტროლზე ამ ადამიანებს, ორგანიზებულად მუშაობენ.

ჩვენ ვერ ვიპოვით, ალბათ, ჩვენზე გაცილებით ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს, რომლებიც 100 პროცენტით მომზადებულები დახვდნენ ამ ვირუსს და ასეთი უამრავი მაგალითია. ამით არ ვამართლებ იმ ფაქტებს, რაც ვიხილეთ, თუნდაც მედდას, რომელსაც არ ჰქონდა პირბადე, მაგრამ ეს არის უზარმაზარი სისტემა ჯანდაცვის უამრავი თანამშრომლით და იქ ყველას ვერ გამოეკიდებიან ამირან გამყრელიძე ან თუნდაც სამინისტროს ჩინოვნიკები. არის ეს ყველაფერი ადგილობრივი მმართველების ბრალი. თუმცა, არის ასევე ადამიანის პირადი უპასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, ამაზე უნდა იყოს მწვავე შეხმიანება, მაგრამ ამის გამო, მტრის ხატის შექმნა, ადამიანების დათრგუნვა და დევნა მიუღებელია!

პოლიტიკური განცხადებები, რომ დაგვიანეს გზის ჩაკეტვა, არასწორია. გადავხედოთ თარიღს, ჩინეთთან მიმოსვლა როდის შევზღუდეთ ჩვენ და როდის ქნეს ეს სხვა სახელმწიფოებმა და ვნახავთ, რომ ჩვენ ვართ ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ამ ქვეყანასთან მიმოსვლა შევზღუდეთ და არ იყო ეს მარტივი გადაწყვეტილება, თუ ჩვენს ბოლოდროინდელ სავაჭრო და ტურისტულ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ. მთელ მსოფლიოსთანაც რომ შეწყვიტო დღეს მიმოსვლა, ეს არ არის საწინდარი იმისა, რომ ქვეყანაში ვირუსს არ შემოუშვებ, რადგან შენი მოქალაქეები არიან გარეთ და რომ ჩამოვა ადამიანი, მას ქვეყნის კარი უნდა გაულო. ჯერ აბსურდული მოწოდებები ისმოდა, ირანთან სახმელეთო საზღვარი გაეუქმეთო, რაც არა გვაქვს, უბრალოდ, ამ შემთხვევაში, რუკას უნდა დახედო. რაც შეეხება საჰაერო მიმოსვლას, არ ვთვლი, რომ დაგვიანებული იყო, შეხედეს ვითარებას, შეაფასეს და შეზღუდეს მიმოსვლა.

ფაქტობრივად, პირველივე დღეებიდან, ყოველდღიურ რეჟიმში, რამდენიმე პიროვნება დილიდან შუაღამემდე გასცემს რჩევებს, ავრცელებენ ინფორმაციებს და ა.შ... საკმაოდ დატვირთული რეჟიმით მუშაობს ლუგარის ლაბორატორია და მსგავსი ლაბორატორია არა აქვს ჩვენზე მოწინავე ძალიან ბევრ ქვეყანას, ფაქტობრივად, გადასულები არიან საომარ რეჟიმზე, ყოველგვარი დასვენების გარეშე და კი ვიცით, მათი ანაზღაურება როგორიცაა, განსაკუთრებით უმცროსი სამედიცინო პერსონალის... ჩვენი უსაფრთხოების გამო, დღედაღამ რისკის ზღვარზე დგანან და მადლობის ნაცვლად მუდმივი სტრესის ქვეშ გვყვანან ეს ადამიანები. ეს ეხება თუნდაც მმართველ რგოლს, იმავე ამირან გამყრელიძეს, პაატა იმნაძეს... ვინმე რაიმეს დამატებით უხდის ამ ადამიანებს? უბრალოდ, მოიკითხონ, რა რეჟიმით მუშაობენ! რა თქმა უნდა, ხარვეზები იყო საწყის საფეხურზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი გამოსწორებულია.

ესაუბრა

ნინო ქარქაშაძე

კორონაზე უარესი ვირუსის ეპიდემიის საფრთხე საქართველოში!

ჩინური კორონავირუსის გავრცელების ზრდადი დინამიკის პერიოდში ვიღაცას ზედმეტად შეიძლება მოეჩვენოს სხვა პრობლემებზე საუბარი.

ასეთი აზროვნების სქემა მარტივია – ჯერ ერთი გამოწვევა უნდა დასრულდეს და შემდეგ უნდა მივხედოთ მეორეს და ა.შ. ეს მიდგომა ოჯახის დონეზე შეიძლება კიდეც გამოდგეს, მაგრამ სახელმწიფოსთან მიმართებაში აბსოლუტურად მცდარი და მავნებელია. პირიქით, სწორედ რთული გამოწვევების დროს სახელმწიფომ, ხელისუფლების სახით ,უნდა მოახდინოს სისტემური და კომპლექსური მოქმედების დემონსტრირება, უნდა შეზღუდოს და დააკორექტიროს საბაზრო მექანიზმების ქცევები ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ.

ჩინური კორონავირუსის შედეგად ევროპული გაგებით ოთხი – საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის – გადაადგილების თავისუფლებიდან, ყველაზე შეზღუდული – სამუშაო ძალის გადაადგილება კიდევ უფრო მეტად და მთელ რიგ შემთხვევაში აბსოლუტურად შეიზღუდა. ერთმანეთის თანმიმდევრობით ქვეყნები, მართალია საკარანტინო მიზნებით და გარკვეული დროით, მაგრამ რეალურად დაიხურა-ჩაიკეტა სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის. მართალია, აქ რაიმე წესრიგი არ არსებობს და ყველა ქვეყანა მოქმედებს თავისი სამრეკლოდან დანახული პრობლემის აღქმის მიხედვით. ადამიანების თავისუფალი გადაადგილება შეიზღუდა, ფაქტობრივად, ქვეყნის შიგნით – დაიხურა სკოლები, შეიძღუდა ღონისძიებები, ბევრი კერძო და საჯარო სამსახური, სერვისების განხორციელება გადავიდა დისტანციური მუშაობის მეთოდზე და სხვა.

ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა დონეზე დაეცემა საქართველოში ციფრული სახით განხორციელებულ სახელმწიფო თუ სასწავლო სერვისებზე ადამიანების ხელმისაწვდომობა (ხარისხზე არაფერს ვამბობ) – ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხელმისაწვდომობა ვერ იქნება საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობაზე მეტი და ვერ იქნება გეოგრაფიულად იმ სივრცეებში, სადაც ციფრული ტექნოლოგია არ არსებობს.

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო“ – ეს განზოგადებული სიბრძნეა, თორემ საქართველოში ურემის გადაბრუნების შემდეგ ბევრ კონკრეტულ შემთხვევაში ის ჩანს, რომ გზა საერთოდ არ ყოფილა! ასეა ახლაც! თავს იჩენს ყველა ის ნაკლოვანება, რაც საქართველოს გაციფრულების საქმეში არსებობს – დაწყებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით საქართველოს დაქსელვითა და დამთავრებული ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გაციფრულებისა და ბიბლიოთეკების ფონდების ხელმისაწვდომობით.

აშკარაა დროის ფლანგვის საშინელი შედეგი!

კრიზისში ბევრი ადამიანი და სახელმწიფო ეძებს ახალ შესაძლებლობებს, თუ როგორ მართოს კრიზისი ისე, რომ ის წარმატებაში გადაიყვანოს. ეს წარმატება, ქვეყნის დონეზე, მტრისთვის მეტი ზიანის მიყენებას ნიშნავს.

დაცულია საქართველო ასეთი მტრებისგან? ჩვენი აზრით, არა!

წარმოვიდგინოთ, კორონავირუსის წინააღმდეგ ადამიანთა ფიზიკური დაშორიშორებისა და მათი სოციუმის, თუ საქმიანი ურთიერთობების შესანარჩუნებლად გამოყენებული ინტერნეტი და ყველა ციფრული კავშირურთიერთობა რომ მოიცვას კომპიუტერულმა ვირუსმა!!!

ეს რომ შესაძლებელია ზოგადად, მიუთითებს კომპიუტერული ვირუსების ეპიდემიათა ისტორია, რომელიც ყველასთვის მისაწვდომია ღია წყაროებში.

თუ საქართველოში ასეთი ეპიდემიები უმტკივნეულოდ „გადაიტანეს“ მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ ყოფილა ამ ვირუსების გავრცელების სამიზნე.

თუმცა საქართველოს შესაძლებლობები, მისი იმუნიტეტი ასეთი ვირუსების ეპიდემიის მიმართ, კარგად გამომჟღავნდა 2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო სექტორზე კიბერშეტევის დროს. მოხდა ორი ათასი GOV დაბოლოების სამთავრობო, არასამთავრობო და სამომხმარებლო ვებ-გვერდების პარალიზება. გატყდა proservice.ge ჰოსტინგ პროვაიდერის სრული სერვერი!

https://seclab.ge/post/AttackGeorgia

https://jam-news.net/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94.../...

ეს ნიშნავს, რომ ამ დროისთვის აღნიშნულ მისამართებზე არსებული სახელმწიფო და სხვა საიდუმლო ინფორმაცია აღარ იყო საიდუმლო და ხელმისაწვდომი გახდა „ვიღაცისთვის“!

როგორც შემდეგ დადგინდა ეს „ვიღაცა“ სხვა არავინ არაა, თუ არა რუსეთი!

2019 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს („გრუ“) სპეციალური ტექნოლოგიების მთავარმა ცენტრმა (GTsST, ასევე ცნობილი „ქვედანაყოფი 74455“ და „ჭიაყელას“ სახელით) საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი, შემაფერხებელი კიბერშეტევა განახორციელა – ნათქვამია საქართველოში აშშ საელჩოს განცხადებაში.

https://www.facebook.com/usingeo/posts/10157978020202954.

საქართველოში ამის შემდეგ დიდი არაფერი შეცვლილა.

საქართველო კვლავ დაუცველია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: კი მაგრამ, საქართველო კიბერუსაფრთხოებას რა სისტემებით ახორციელებს?

ეს სისტემები მას ხომ შესყიდული აქვს უცხოეთიდან – რატომ არ იმუშავეს ამ სისტემებმა?

ხომ არ ჰქონდა ადგილი 2008 წლის ომის დროს გამომჟღავნებული ფაქტების მსგავს მოვლენას, როდესაც მიზნის მისაღწევად შეუფერებელი ტექნიკა (ტექნოლოგია) იქნა შესყიდული? ადგილი ხომ არ ჰქონდა არაკომპეტენტურობას ან კორუფციას?

მაშინ, როდესაც თვით აშშ განიცდის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს, მაშინ თუ საქართველო მისგან, ან სხვა პარტნიორებისაგან არ ყიდულობს ბოლო თაობის დაცვის სისტემებს (რაც ძალიან საეჭვოა, რომ ასე იყოს) მაშინ საქართველოს სახელმწიფოში ყველა კიბერდანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს.

კიდევ ერთი საკითხი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქვეყანა ყიდულობს კიბერუსაფრთხოების უზრუნველმყოფელ სისტემებს მეგობარი ქვეყნისგან, ის მაინც „დაუცველია“ თვით ამ ქვეყნისგან. მოცემული მეგობარი ქვეყანა პირდაპირი ჩართვით ადევნებს თვალს მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, თუ ინდივიდუალურ ცხოვრებას.

გამოსავალი ერთია: საქართველოს უნდა ჰქონდეს მონაცემთა ბაზების, საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების ან მათი მონაცემების თავისი, ეროვნული დაცვის პროდუქტები! მან შეიძლება იყიდოს პროგრამები, ტექნოლოგიები, მაგრამ მათი დაცვის სისტემები უნდა აწარმოოს თვითონ!!!

რამდენიმე დღის წინათ (ა.წ.12 მარტს) გამოქვეყნდა კიბერმედია – SECLAB-ის განცხადება, რომელშიც მოტანილია მონაცემები, რომ „საქართველოში 2019 წელს, კიბერდანაშაული 125%-ით გაიზარდა, სადაც ამ საშიში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი მხოლოდ 5,19%-ია!“, რაც სავალალო მდგომარეობაზე მიუთითებს!

თუმცა მთავარი აღნიშნულ განცხადებაში შეთავაზებაა:

„გამომდინარე უმაღლესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებიდან, კომპანია „კიბერ უსაფრთხოების ჯგუფი“, რომელიც სერტიფიცირებულია ISO 27001:2013 ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთოების სფეროში, ასევე, ოფიციალურად მინიჭებული აქვს „ვირტუალური ზონის პირის“ სტატუსი, იმ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს, ვინც ფლობს მონაცემთა ბაზებს, ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს და იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სთავაზობს უფასო პენტესტინგს: თქვენი ნებართვით და წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ჩვენ აქციის ფარგლებში უსასყიდლოდ განვახორციელებთ ტესტურ-საექსპერტო შეტევას თქვენს ვებ-გვერდებზე და გარანტირებულად, დიდი სიზუსტით დავადგენთ მათი დაცულობის დონეს.

ასევე, ჩვენ შევძლებთ თქვენი კომპანიების ან ორგანიზაციების ყველაზე სუსტად დაცული, მოწყვლადი სეგმენტების განსაზღვრას, რის შედეგადაც მიიღებთ რეკომენდაციებს არსებულ ხარვეზთა აღმოფხვრის კონკრეტულ ღონისძიებათა და მიზანშეწონილ ტექნოლოგიათა თაობაზე.

რას ითვალისწინებს პენტესტინგი (უსაფრთოების ტესტი)?

შეღწევადობის ტესტი ვებ-გვერდის უსაფრთხოების ტესტირება) შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს:

1) დაუცველობის დადგენა;
2) ვებ-საიტის/ვებ-სერვერის ტესტირება;
3) ტესტის ანგარიში და რეკომენდაციები, ინსტრუქციები.

ტესტების ზუსტი ჩამონათვალი განისაზღვრება მოლაპარაკების ეტაპზე – კლიენტის საჭიროების შესწავლის შედეგად.

24-საათიანი შენახვისა და დამკვეთისთვის დოკუმენტაციის გადაცემის შემდეგ, კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიით, ვებ-გვერდზე აღმოჩენილი სისუსტეების შესახებ ინფორმაცია ნადგურდება შესაბამისი პროტოკოლის (ISO 27001:2013 სტანდარტების) მიხედვით (https://seclab.ge/post/Cyberaction).

შეთავაზება გულისხმობს იმ სისტემების უსაფრთხოების უფასოდ დატესტვას, რომლებიც ფუნქციონირებენ სახელმწიფო სერვისების, ბანკების, ფირმების და სხვათა სახით.

საინტერესოა ამ შეთავაზების უკან რა დგას – თვითრეკლამა, მხოლოდ კომერციული მიზნებით, თუ რეალური შესაძლებლობები, მათ შორის კომპიუტერული ვირუსის ეპიდემიიდან თავის დაცვის, ეროვნული სისტემის შესაქმნელად?

ამ კითხვაზე საზოგადოებამ პასუხი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებიდან უნდა მიიღოს, ხოლო კერძო სექტორმა, არ უნდა გაუშვას შანსი, დატესტოს საკუთარი პროგრამების, გაზეთებისა და მონაცემების დაცვის სისტემა.

მიხეილ ჯიბუტი

ამ პანიკური დღეების ვითარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე

არის თუ არა ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში ახალი კორონავირუსის გამოვლენილი შემთხვევები? რას აკეთებს სახელმწიფო იქ მცხოვრები მოქალაქეების დასახმარებლად?

საქართველოს ხელისუფლებაცა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებიც დახმარების სურვილის შესახებ განცხადებებს აკეთებენ.

ინფორმაციული და მედიკამენტური დახმარება აფხაზეთს

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, სახელმწიფო მზად არის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას დახმარება გაუწიოს.

ამირან გამყრელიძის თქმით, არც ოკუპირებულ აფხაზეთსა და არც ცხინვალის რეგიონში კორონავირუსის დიაგნოსტირების საშუალება არ არსებობს, შესაბამისად, საეჭვო შემთხვევების ლაბორატორიულად გამოვლენაც ვერ მოხდება.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკვე შესთავაზა დახმარება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს დაავადების დიაგნოსტირებასა და სათანადო მკურნალობაში.

„მეც ვარ ჩართული ამ ურთიერთობაში და ვიცი სიტუაცია... ჩვენ მათ შევთავაზეთ, რომ მზად ვართ, დავეხმაროთ დიაგნოსტიკაში და თუ საჭირო გახდა, მერე გადმოვიყვანთ ავადმყოფს და ვუმკურნალებთ. ეს არის ჩვენი შეთავაზება, რომ მზად ვართ, მივეხმაროთ მათ, პირველ რიგში, იდენტიფიცირებაში შესაძლო შემთხვევისა და მათ შემდგომ მართვაში. ასევე, რა თქმა უნდა, თუ თანახმა იქნებიან, ჩვენ მზად ვართ, სხვა საკითხებშიც დავეხმაროთ“, — განაცხადა 14 მარტს გამართულ ბრიფინგზე ამირან გამყრელიძემ.

რადიო „თავისუფლების“ წყაროს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მოლაპარაკებების მიმართულებით ბევრ ინფორმაციას ფლობს, გვიამბო, რომ თებერვლის ბოლოს, საქართველოში ახალი კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენამდე, აფხაზურმა მხარემ სასწრაფოდ მოითხოვა გალში ტექნიკური შეხვედრის ჩატარება. ამ შეხვედრის დეტალები არც ქართულ და არც აფხაზურ მხარეებს არ გაუხმაურებიათ. წყარო კი გვიყვება, რომ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს მხოლოდ კორონავირუსთან დაკავშირებული ინფორმაცია, მასთან ბრძოლის და პრევენციის მეთოდები აინტერესებდათ.

„ამ თემის მიმართ აფხაზურ საზოგადოებას განსაკუთრებული ინტერესი აქვს, რადგან იქ შიდსის, C-ჰეპატიტის და ტუბერკულოზის შემთხვევები ძალიან მაღალია. იმუნოდეფიციტის მქონე ადამიანები კი რისკჯგუფში არიან. ამიტომ თებერვლის ბოლოდან სოხუმისთვის მედიკამენტების და სხვა სამედიცინო მასალის მიწოდება მიმდინარეობდა. აფხაზებს ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციებმაც გარკვეული დახმარება გაუწიეს“, — გვიყვება წყარო.

მიუხედავად იმისა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. საზღვრის ჩაკეტვის შესახებ განცხადება თებერვლის ბოლოს გააკეთა, ენგურის ხიდზე მიმოსვლა 2 კვირის განმავლობაში მაინც იყო. საერთაშორისო ორგანიზაციაში მომუშავე წყაროს ინფორმაცია და მისი სანდოობა სრულად დაადასტურა საქართველოს სახელმწიფო უწყებაში მომუშავე კიდევ ერთმა წყარომ, თუმცა ვინაობის გამხელა იმის გამო არ ისურვა, რომ აფხაზებთან ტექნიკური შეხვედრის გაუხმაურებლობის შესახებ პირობა წინასწარ ჰქონდათ მიცემული.

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ დანარჩენ საქართველოსთან გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა კიდევ უფრო გაამკაცრა. სოხუმმა 11 მარტს გაკეთებული განცხადება სისრულეში დღეს, 15 მარტს მოიყვანა და ენგურის ხიდი ყველა მოქალაქისთვის ჩაკეტა, გარდა „ენგურჰესის“ თანამშრომელთა ნაწილისა, რომლებზეც ჰესის მუშაობაა დამოკიდებული და მათი ადგილზე ყოფნა აუცილებელია.

სოხუმის მიერ დაწესებული აკრძალვა შეეხო სხვადასხვა დაავადების მქონე პირებს. საუბარია მოქალაქეებზე, რომლებსაც ოკუპირებული აფხაზეთიდან დანარჩენ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში ჩასვლა თითქმის ყოველდღე უწევთ ჯანდაცვის სხვადასხვა სერვისის მისაღებად. მათ შორის, საუბარია დიალიზის პროგრამაში ჩართულებზე, რომლებსაც შეზღუდვების მოხსნამდე ზუგდიდში დარჩენა მოუწევთ.

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეების უმრავლესობისთვის ე.წ. საზღვარი უკვე ორ კვირაზე მეტია დაკეტილია. 15 მარტამდე საზღვარზე ატარებდნენ მხოლოდ „ენგურჰესის“ თანამშრომლებს და ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობის მქონეებს.

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ე.წ. განკარგულებით, 14 მარტის 20 საათიდან იკეტება „აფხაზეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი“.

მიზეზად დასახელებულია საქართველოში COVID-19 დაავადებულთა რიცხვის გაზრდა. დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ე.წ. განკარგულება გამოსცა 26 თებერვალსაც, როცა საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურდა ახალი სახეობის კორონავირუსის პირველი შემთხვევა.

ოკუპირებული აფხაზეთისა და სამეგრელოს დამაკავშირებელ ენგურის ხიდზე გუშინ ჰესის რამდენიმე თანამშრომელი გაატარეს „მესაზღვრეებმა“. მათი თქმით, ე.წ. გამშვებ პუნქტთან იმყოფებოდა რამდენიმე მოქალაქე, რომლებსაც დანარჩენ საქართველოში წამოსვლის სურვილი ჰქონდათ, თუმცა არ გაატარეს.

თებერვლის ბოლოს გამართულ ტექნიკურ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ კრიტიკულად მძიმე ავადმყოფებს საქართველოს კლინიკებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი დაბრკოლებების შექმნის გარეშე გადაიყვანს.

* * *

სრულად ჩაკეტილი ცხინვალი და წინასწარ შეთანხმებული შეხვედრის ჩაშლა.

უენევის დისკუსიის თანათავმჯდომარეებმა თებერვალში ცხინვალში ვიზიტისას თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას მხარეებს შორის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში სამუშაო შეხვედრების აღდგენის თაობაზე. რადიო „თავისუფლების“ წყაროს ცნობით, შეხვედრა უკვე იგეგმებოდა და მხარეებს შორის დღის წესრიგში შეტანილი საკითხებიც გაიცვალა, ოსურმა მხარემ კი ქართული დღის წესრიგიდან არჩილ ტატუნაშვილის შინაგანი ორგანოების გადაცემის საკითხის ამოღება და ამ თემის საერთოდ დახურვა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგეგმილი შეხვედრის ჩაშლით დაიმუქრა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნეს და შეხვედრა არ შედგა.

დე ფაქტო ხელისუფლებამ კი ე.წ გამშვებ პუნქტებზე რეჟიმი უფრო გაამკაცრა. ჩაკეტილი ახალგორის შემდეგ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ სოფელ პერევში არსებული ე.წ. გამშვები პუნქტი ჩაკეტა. მიზეზად კი კორონავირუსის მიერ შექმნილი საფრთხე და მისი პრევენცია დაასახელა.

ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ ე.წ. საზღვრების ჩაკეტვა რეგიონში ჰუმანიტარულ კრიზისს გამოიწვევს, რადგან მოსახლეობა პროდუქტისა და მედიკამენტებისთვის პერევში გადადიოდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა „ცხელი ხაზის“ მეშვეობით დაადასტურეს ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით არსებული ყველა ე.წ. გამშვები პუნქტის დახურვის ფაქტი.

უწყების ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM). საოკუპაციო ძალების მიერ თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული უკანონო შეზღუდვები, მათ შორის, გადასასვლელების დახურვა, მნიშვნელოვნად ართულებს ადგილობრივების ყოველდღიურ ცხოვრებას და არღვევს მათ ფუნდამენტურ უფლებებს. ე.წ. საზღვრის გახსნის დრო არაა დაზუსტებული.

ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი აცხადებს, რომ „სამხრეთ ოსეთში ყველა ზომაა მიღებული, რათა თავიდან აიცილონ საქართველოდან დაავადების ქვეყანაში შეღწევა“.

„სამხრეთ ოსეთში ყველა ზომაა მიღებული, რომ ამ სენმა საქართველოდან ქვეყანაში არ შემოაღწიოს. საზღვარი საიმედოდაა დაკეტილი და იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში პანიკა დაიწყება, ხალხის ტალღა მოაწყდება უფრო დაცულ ქვეყნებს. ჩვენ კატეგორიულად ვერ დავუშვებთ, რომ ამ ტალღამ ჩრდილოეთის მიმართულებით ჩვენი ქვეყნის გავლით დაიწყოს გადაადგილება“, — აღნიშნავს მედოევი.

ამასთან, დე ფაქტო მინისტრი აცხადებს, რომ ცხინვალს საქართველოს დახმარება არ სჭირდება.

„უცნაურია მოისმინო მსგავსი განცხადებები. საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ადამიანურობის გამოვლინება და თვით ისეთ თემაზეც კი, როგორიც კორონავირუსია, ცდილობენ, პოლიტიკური პიარი ააგონ. ამის ნაცვლად უმჯობესია საკუთარი მოქალაქეების მკურნალობით დაკავდნენ“, — განაცხადა დიმიტრი მედოევმა.

ამჟამად დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში ნ ადამიანი კარანტინში იმყოფება. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „რესი“ ავრცელებს.

დე ფაქტო რესპუბლიკის სანიტარიული კომიტეტის ხელმძღვანელის მარინა კოჩიევის განცხადებით, ისინი ინფექციურ განყოფილებაში არიან მოთავსებულები.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, ძალიან აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა, რათა კორონავირუსის პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ყველა, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა ინფორმირებული იყოს.

„არის მასალები აფხაზურ ენაზე, ოსურ ენაზე იმის თობაზე, თუ რა უნდა გააკეთოს მოსახლეობამ იმისთვის, რომ მაქსიმალურად ეფექტურად დაიცვას თავი. ბუნებრივია, რეკომენდაციები შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, ასევე ჩვენი დაავადებათა კონტროლის ცენტრის და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს. ჩვენ ვეცდებით, რომ მაქსიმალურად გავაფართოოთ ხელმისაწვდომობა ამაზე და ცხადია, ჩვენ გვაქვს მზაობა იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას სხვა სერვისებითაც, იგივე დიაგნოსტიკით თუ მკურნალობით დავუდგეთ გვერდით და, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ მიტოვებას ასეთ სიტუაციაში“, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

გადაუდებელი და კრიტიკულად მძიმე ავადმყოფების დასახმარებლად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ცხინვალის მიმართულებითაც განაგრძობს მუშაობას. რამდენიმე დღის წინათ კომიტეტის მანქანით ოკუპირებულ რეგიონში დედაშვილი დააბრუნეს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები კი ახალი კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას ძირითადად რუსეთის მედიით იღებენ, თუმცა სოხუმშიც და ცხინვალშიც ეჭვობენ, რომ რუსული პროპაგანდა ახალი გამოწვევის შესახებ სრულ ინფორმაციას არ იძლევა.

გოგა აფციაური

ერთი მილიარდი დავირუსებული ეკონომიკისთვის

თბილისი (GBC) — **იმის გამო, რომ სამყარო COVID-19 კრიზისშია, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (EBRD) თავის პატრონაჟის ქვეშ მყოფ ეკონომიკებს ეხმარება.**

ბანკის დირექტორთა საბჭომ პარასკევს საღამოს დაამტკიცა სასწრაფო დახმარების პაკეტი და 1 მლრდ ევრო გამოყო, ბანკი მზადაა, გაიკეთოს მეტი საჭიროების შემთხვევაში.

„სოლიდარობის პაკეტი“ ცხადყოფს, რომ EBRD რჩება ღია ბიზნესისთვის და მზად არის სწრაფად და გადამწყვეტად იმოქმედოს.

ბანკს შეუძლია ამის გაკეთება ძლიერი კაპიტალის საფუძველზე და ბოლო წლებში მიღწეული შესანიშნავი შედეგების საფუძველზე.

ამ კრიტიკულ მომენტში, EBRD კარგად არის აღჭურვილი, რომ დადგეს თავისი კლიენტების და იმ ქვეყნების გვერდით, სადაც ოპერირებს.

ბანკს ასევე ხშირად ეკითხებიან ამ დღეებში მიმდინარე მოვლენების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეკონომიკური გავლენის შესახებ. თუმცა, ბანკი აღნიშნავს, რომ რადგან ეს სიტუაცია სწრაფად ვითარდება, აშკარაა, რომ ძნელია საბოლოო დასკვნის გაკეთება. ბანკის შეფასებით, რაც უკვე ნათელია, ისაა რომ EBRD-ის რეგიონებში ამ ყოველივეს დაუყოვნებლივი გავლენა ექნება ეკონომიკურ ეფექტურობაზე, მაგრამ 2008 წლის ფინანსური კრიზისისგან განსხვავებით, შესაძლებელია სწრაფი რეაგირება მოხდეს, როდესაც ეს დაავადება გავრცელდა.

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა“

ცხოვრებაზე, მეგობრობასა და გრძნობებზე

თითქმის სუყველა ლეგენდა მცირე რამით იწყება, მოკრძალებულიდან დიდებულისკენ ვითარდება!

* * *

უთუოდ აზრი აქვს იმას, რომ ყოველსავე დაეუარო, ფუფუნების გარდა.

* * *

თავისუფლება მუდამ სტილურია.

* * *

მატერიალურ საქმეებს თუ გამოვრიცხავთ, ადამიანებს ბევრად უფრო მოწონება და სულაც ესა თუ ის რჩევა ეჭირვებათ.

* * *

სანთელს, რომელიც ორსავე მხრიდან ანთია, ძალუძს ჩახჩახა და ამასთანავე თბილი შუქის გამოსხივება, ოღონდ იმას მოყოლილი წყვდიადი დიდხანს გასტანს.

* * *

...როგორი უნდა იყვეს შეყვარებული ქალი? როცა შენ ცუდად ხარ, ძალიან ცუდად და ალერსი გენატრება.

* * *

ცოცხალი არცროდის მახინჯი არ შეიძლება რომ იყვეს.

* * *

ლეგენდა მუდამ ბევრად მეტს ცოცხლობს, ვიდრე ნამდვილი ამბავი... სინამდვილე დიდად საცოდავი რამ არის ჩემს თვალში. ადამიანები ყოველთვის მშვენიერ ჩანაფიქრს დაამჯობინებენ მართალ ამბავს, იმ ჩანაფიქრის სახელია წარმოსახვა.

* * *

არ არის საჭირო სხვათა გადატვირთვა, არც როდის სხვას არ გააკეთებინოთ თქვენ მაგივრად ის საქმე, რისი გაკეთებაც თქვენთვის თავადვე შეგიძლიათ. მაპატიეთ, მაგრამ მე ამას უაზრობას ვეძახი.

* * *

ფეხის ქირა კეთილმოწყობილი ყოფა-ცხოვრებაა. მხედველობაში სულაც არა მაქვს სოკოს ჩიზბურგერის თხუთმეტი პროცენტი (სარგებელი).

* * *

ფულის გამომუშავება და დაგროვება იმის გულისთვის, რომ ბევრი დაგროვდეს?

* * *

იახტის ბორტზე ახვალ თუ არა, შენს თავს კი აღარ ეკუთვნი, არამედ მავან კაცს ვისმე, და სიკვდილამდე ცხვირჩამოშვებული ხარ.

* * *

ზიზღი, როგორც წესი, კმაყოფილებას მოსდევს, ხან კი წინაც უსწრებს.

* * *

ხგო, წადით, სხვა ადგილას მოიგეთ.

* * *

ადექით და რომელსამე ყოვლის უფრო შთაბეჭდილების მომხდენ ნათესავთან გააიგივეთ თავი.

* * *

მიდით, სახელი გამოუცვალეთ იმ ადამიანებს, ვინც თქვენ შეურაცხგყოთ.

* * *

სირგილე საქმეს არა შველის, განა სასწაული არ არის, უცაბედად კვერცხის მდებელ ქათმად რომ გადაიქცე.

* * *

არ ეგების საკუთარ თავზე არცროდის ლაპარაკი, სჯობს, სხვებმა სცადონ შენზე რისამე თქმა.

* * *

სიყვარულისთვის განვადებით იხდი და უმეტესად, სამწუხაროდ, როცა სიყვარული უკვე დამთავრებულია.

* * *

ჩემზე ამბობენ, შავი თვალები აქვსო. როგორიც გნებავთ, ისეთი თქვით, ოღონდ არა შავი. მეჩვენება, რომ უფრო ოქროსნაპერწკლიანი შავი თვალები მაქვს. ანდა იისფერი, მწვანე. ყელი ძალიან ყარყარა დამყვა, მეტადრე ფოტოსურათებზე. არცვის ასეთი ყარყარა ყელი არა აქვს! ჭამისას ყოველთვის მაღლა მიჭირავს თავი. ძალიან უნდა გავუფრთხილდე მალებს.

ჩემი შვეიცარიელი ექიმი მარწმუნებს, ყველაფერი ამ მალაზეა დამოკიდებულიო. ყოველდღე ვიზელ, ვვარჯიშობ. ახლა უკვე ვეღარაფერს ვერ შევცვლიო, მეუბნება ექიმი. ორივე ძალიან მყიფეაო... ამჯერადაც იმდენს ვიწონი, რამდენსაც ოცი წლისა ვიწონიდი.

* * *

საკუთარ თავს ყურის მიგდება არ უნდა. წუხელ ისევ ჩამოვვარდი საწოლიდან. ლეიბი ძირს გაშალეთ-მეთქი, ვგრძანე; ისე მაღლიდან მაინც არ გადმოვვარდები.

* * *

– შენს თავს როგორსა ხედავ?
– იაფ როსკიპად (კოკო).

* * *

სიყვარული სიბერისგან არ გვიცავს. ზრდით კი სიყვარული იცავს ზრდას.

* * *

– არ შემიძლია თქვენი ასაკის გამოცნობა, 25? 16?
– მოწყენილობისგან თავს დედაბრად ვგრძნობ.
– დღეს რამდენი წლისად გრძნობ თავს?
– დღეს, სულ ცოტა, ასი წლისა ვარ.

* * *

არცთუ ბევრი ფლობს ფერის გრძნობას.

* * *

ეკრანზე მოიხილავენ ბებერ დედაკაცს. უფრო ხნიერი გამოვჩნდები, ვიდრე სინამდვილეში ვარ.

* * *

„ქალი სუყოველი მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

იმაზე ოცი წლით ადრე ვარ დაბადებული, ვიდრე უნდა დავბადებულიყავი.

* * *

ნუ იგულმავიწყებთ, ყოველივე ჩვენს ხელთ არის, მაშასადამე, ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

* * *

რისამე პოვნა იმ მიზნით ხდება, რათა დავკარგოთ.

* * *

ადამიანების უმრავლესობისთვის, ვისაც დიდი ხელოვნებისა არცრა გაეგება რა, სილამაზე პოეზიაა.

* * *

იერსახის ცვლა სასიამოვნო რამ არის, სევდის მომგვრელია დაკარგვა.

* * *

ჯეშმარიტი, არანაყალბევი ბედნიერება სავსებით ძვირი არა ღირს, ხოლო თუ იმაში დიდძალ ფულს იხდი, მაშასადამე, რიოში და ნაყალბევია.

* * *

ერთმა განოვანმა ჰკითხა კოკო შანელს:
– რა უნდა ვქნა, რათა გავხდე?
– ჯანმრთელი ხართ?
– კი.
– როგორ მისდის თქვენს ქმარს საქმე?
– კარგად.
– მაშ, აბა, რატომ გინდათ გახდომა?

* * *

ჩვენი სახლები ალი-კვალი ციხეებია, თავისუფლებას იქ მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ, თუ ჩვენი შეხედულებისამებრ გავალამაზებთ.

* * *

სახელ-დიდება უსაზღვრო სიმარტოვეა.

* * *

ის ადამიანები, ვისაც ლეგენდა აქვთ, თავად არიან ლეგენდები.

* * *

გაღმერთება მეცნიერებაა! სილამაზე ყოველთვის იარაღია ჩვენს ხელთ! მოკრძალება სინატიფის მეორე მხარეა!

* * *

ადამიანებმა, სამწუხაროდ, ცხოვრება არ იციან, რადგან არცვის ეს არ უსწავლებია.

* * *

შეუძლებელია ერთდროულად ორი ბედ-იღბლის ქონა: ბრიყვის ბედ-იღბალი და ზომიერი ბრძენკაცის ბედ-იღბალი. ზუსტად ეგრევე შეუძლებელია ღამის ცხოვრების გაძლება და იმის უნარის შენარჩუნება, რომ ძირითადი რამ შექმნა დღისით.

* * *

ხშირად ისინი უფრო წარემატებიან ხოლმე, ვისაც სულაც არ აეჭვებს მარცხი.

* * *

ვერ წარმოიდგენთ, რაოდენი ზრუნვა იკარგება თავისთავად, როცა ადამიანები წყვეტენ, რომ ვიღაცისთვის კი, ბატონო, ოღონდ თავისთვის აღარც ვინ უნდა რომ იყვეს.

* * *

ვინაიდან ყოველივე მნიშვნელოვანი ჩვენს თავებში ინახება – აუცილებელია, რომ არა ვკარგავდეთ.

* * *

პარიზში ბევრი ადამიანია, ვისაც დიდძალი ფული აქვს, ოღონდ უსათუოდ მდიდრებიც არიან.

* * *

სასტიკი ბედ-იღბლის ერთ გამანჭვას ძალუძს რამდენიმე ფრანგული კოსმეტიკის განადგურება.

* * *

ჯანსაღი ცხოვრების წესის მიყოლა ის არის, როცა უბრალოდ საზრდოობ, გძინავს შვიდი-რვა საათი დღე-ღამეში, თუკი ამის სურვილი გაქვს. ძილი უმჯობესია ღია ფანჯრებში. ადგომით ადრე უნდა ადგე, იმუშაო მკაცრად. ის კი არა, ძალიან მკაცრად. მუშაობა მგზნებარედ არცროდის არ ვნებს ადამიანს, ის ხომ სულს ამხნევებს. არ ღირს შუაღამემდე ჯდომა. ბოლოს და ბოლოს, ღირებულს მაინც ისეთს რას ხედავთ მაღალი წრის ცხოვრებაში, რომ ბალიშს დაამჯობინოთ?

* * *

ორმოცდაათი წლის შემდგომ, სამწუხაროდ, სუყოველი დღის თვლა გვიწევს.

* * *

იმისი მეორე შანსი აღარ გექნებათ, ჩემზე პირველი შთაბეჭდილება რომ მოახდინოთ.

* * *

ადამიანი-ლეგენდა განწირულია იმისთვის, რომ მთლიანად ლეგენდაში განზავდეს და ერთდროულად განამტკიცოს მითი.

* * *

ლამაზი თვალები მხოლოდ იმ ადამიანსა აქვს, ვინც ნაზად გიყურებს.

* * *

ღვთის მრისხანების შიში ცოდვისგან იმ ადამიანთ იცავს, ვისაც მაინცდამაინც ძალიან არ უნდა შეცოდება, ანდა ცოდვის ჩადენის მდგომარეობაშია.

* * *

მეგობრებო, ირგვლივ მარტოოდენ მტრები არიან!

* * *

იმაზე დროს ნუ დაკარგავ, რომ კედელზე აკაკუნო და იმავდროულად იმედოვნებდე, რომ ის კედელი კარად იქცევა. თავგზა ნუ აგებნევათ.

* * *

ყოვლის უფრო უკეთესი, რაც შეიძლება რომ სიყვარულში იყვეს, სიყვარულობანაა.

* * *

უხამსობის შეგუება კიდევ შეიძლება, ბელეშობისა კი – არცროდის!

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-44, 46-47

ბაქტერიოლოგიური ომი ამერიკამ დაიწყო?!

(პირველი გვერდიდან)

— შარშან ე.წ. ღორის გრიპით მარტო საქართველოში 52 ადამიანი გარდაიცვალა. თქვენ ამბობთ, რომ უკვე არსებულ შტამებთან შედარებით, კორონავირუსი არ გამოიყურება როგორც ძლიერი ვირუსი. მაგრამ რით ხსნით იმას, რომ გარდაცვლილთა რაოდენობამ უკვე პიკს მიაღწია?

— ამ რამდენიმე დღის წინათ მომიწია ერთ-ერთ სტუდიაში ყოფნა, სადაც სწორედ ამ თემაზე იყო საუბარი და ძალიან საინტერესო ანალიზი წარმოადგინა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა ირაკლი გოგავამ, რომელსაც მსოფლიოს პროცესების ფონზე უყვარს ხოლმე თემის განხილვა. სწორედ რომ, კონკრეტული საკითხებისა და აზროვნების ამ სტილით წარმოადგინა ასეთი ვერსია — მსოფლიოში არიან ძალები და კერძოდ, ეს არის ლიბერალური ფრთა, რომელიც თავის დროზე მსჯელობდა იმაზე, რომ საჭიროა შეიქმნას მსოფლიო მთავრობა. ლიბერალები ხომ გლობალიზაციის მომხრეები არიან და გლობალიზაციის კარგი მექანიზმია მსოფლიო მთავრობის შექმნა. აი, ამ მსოფლიო მთავრობის იდეას, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კუთხიდან უვლიდნენ და ერთ-ერთი თემა ყოფილა ეკოლოგიური კატასტროფები, ანუ, ისეთი გლობალური მოვლენები, რომელსაც ცალკეული ქვეყნები ვეღარ წყვეტენ და საჭიროა გაერთიანება. ირაკლი გოგავას მიაჩნია, რომ ამ ფონზე, არ არის გამორიცხული, ამავე ჯგუფების ინტერესში იყოს, ამ ვირუსს მიეცეს ისეთი მასშტაბური სახე, როგორიც ეძლევა. მით უმეტეს, რომ ლიბერალების ხელში არის მასმედიის დიდი ნაწილი და სწორედ მასმედიამ გახადა ეს თემა, როგორც კატასტროფული თემაო. მეჩვენება, რომ საკმაოდ ლოგიკური სურათი წარმოადგინა გოგავამ იმაზე, რომ შედარებით ნაკლები სიძლიერის გრიპი, რატომ გახდა ასეთი მნიშვნელოვანი მსოფლიოს მასმედიის თვალში. სრულად ვიზიარებ ამ ვერსიას.

— არის ასეთი შეფასებაც, რომ ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, მესამე მსოფლიო ომზე უარესია. შესაბამისად, ამა საქმეს სჭირდება გამოძიების დაწყება, რომ გაირკვეს, რომელი მოთამაშის ინტერესში შედიოდა ეს პროცესი. ითქვა, რომ ჩინეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, როგორც გლობალური მოთამაშის, თუმცა ასევე არ გამორიცხავენ, რომ ტრამპის წინააღმდეგ იყოს მიმართული. რამდენად შესაძლებელია, რომ ამ კონკრეტული ფაქტის უკან იდგეს დიდი მოთამაშეების პოლიტიკური ინტერესები?

— გეთანხმებით, რომ ეს ვერსიები ტივტივდება და ტივტივდება ძირითადად, იმ პრინციპით, რითაც ხშირად დამნაშავეს ეძებს ხოლმე საგამოძიებო ორგანო — ვის ინტერესში იყო. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ძნელია ასე საკითხის დაყენება, იმიტომ, რომ ამ ვირუსის მოძრაობაში დიდად მოგებული არავინ არის. ყველაზე ნაკლებად კი — ჩინეთი, რომელიც ნომერ პირველი მსხვერპლია, მაგრამ ამერიკაშიც საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა. ამ ეტაპზე, ყველაზე კარგი მდგომარეობა თითქოს რუსეთში და თურქეთშია, მაგრამ ჯერჯერობით, არ ვიცით, სადამდე მივა მდგომარეობა. ამიტომ, ვერსია, რომ ვიღაცას სჭირდებოდა ამ ვირუსის შემოტანა, ძნელი გამოსაკვეთია — ვის სჭირდებოდა, ეს არ ჩანს. ანუ, მოგებული არავინ ჩანს.

თუკი გამოვალთ იქიდან, ვინ რა ხეირს ნახავს, ეს უკვე სხვა თემაა. შეიძლება რაღაცა მოვლენა მოხდეს, თოვლი მოვიდეს და თხილამურების მწარმობლებმა ნახონ ხეირი, ან წვიმა მოვიდეს და ქოლგების მწარმოებლებმა იხეირონ. ხეირის ნახვა ერთია, მაგრამ ვერც თოვლის და ვერც წვიმის მოყვანაში ამ ფირმებს ვერ დაადანაშულებ. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ თვითონ ვირუსი ხელოვნური წარმოშობის ყოფილიყო.

— ამ ვირუსით ყველაზე მეტად ჩინეთი დაზარალდა, მეორე ადგილზე არის იტალია, ჩინეთში პიკმა გადაიარა და უკვე სხვა ქვეყნებს ეხმარება ჩინეთი ვირუსის დამარცხებაში. საინტერესოა ისიც, რომ ინფექციონისტების განცხადებით, კორონავირუსი იყო 2003-2012 წლებში და გაცილებით აგრესიული იყო, ვიდრე ამ შემთხვევაში. სწორედ აქედან გამომდინარე ჩნდება მოსაზრება, რომ ჩინეთის გაძლიერების ფონზე, ამ ფორმით ხომ არ მოხდა ჩინეთის დასჯა. აქვს ამ ვერსიას არსებობის უფლება?

— რუსეთს ჰქონდა ეს ვერსია, რომ შეიძლება ამერიკამ ამ ვირუსით სცადა ჩინეთის მოთოკვა. მოგეხსენებათ, რომ ბოლო ხანებში, მათ შორის დაპირისპირება საგრძნობია, მაგრამ მას მერე, რაც ამერიკაშიც გავრცელდა ვირუსი, გაჩერდა ამაზე საუბარი. ამიტომ, ამერიკული ვერსია მეორე პლანზეა გადასული.

— რაც შეეხება საფრთხეებს, ვხედავთ, რომ ამ ვირუსმა უკვე შექმნა პრობლემები ეკონომიკის მიმართულებით, ვხედავთ, როგორ უფასურდება ეროვნული ვალუტა, რამდენად მძიმე ეკონიმიკური საფრთხის წინაშე ვდგავართ, მაგრამ რამდენად მზარდია ეს საფრთხეები?

— ბევრი პროცესი შეიძლება დაძრას. შეიძლება ზოგიერთი მხარე ამ პროცესებს ნავთს ასხამდეს. აქედან გამომდინარე, რომ მედია გახდა ძალიან აქტიური მთელ მსოფლიოში და თავისთავად, მედია გარკვეული ბიზნესწრეებისა და პოლიტიკური წრეებისგან იკვებება. ასე რომ, ეს ხმაური არ არის შემთხვევითი, თორემ თვითონ ვირუსი შეიძლება შემთხვევითია. ბევრს აფიქრებინებს, რომ ამ ხმაურის უკან ალბათ, რაღაცა ინტერესები დგას. საბედნიეროდ, ჩვენ აღმოვჩნდით უფრო კარგ მდგომარეობაში, რადგან ავად თუ კარგად, ხელისუფლებამ, ჯანმრთელმა საზოგადოებამ ამ პრობლემას მოუარა ისე, რომ ჯერჯერობით სერიოზული გართულება არ გვაქვს.

რაც შეეხება საქართველოს და ეკონომიკურ ზარალს, ურთულესი პროცესი შეიძლება მივიღოთ. მარტო ერთი ასპექტი — ტურიზმის ხაზი რომ ავიღოთ, ეს ვითარება, რა თქმა უნდა, დამაბრკოლებელი იქნება. ამან შეიძლება გარკვეული დასკვნებიც გაგვაკეთებინოს. ყველა უარყოფით მოვლენას, თავისი დადებითი მხარე აქვს. მარტო ერთ მიმართულებაზე დიდი აქცენტის გაკეთება სახიფათოა და ქვეყანამ უნდა იზრუნოს, რომ სხვადასხვა მიმართულებით ჰქონდეს განვითარება, რომ რომელიმე მიმართულების შეფერხებამ არ გამოიწვიოს შეფერხება. ჩვენთან ბევრი ამბობს, რომ დიდი ყურადღება გაკეთდა ტურიზმზე და შესაბამისად, ტურიზმის დაბრკოლება დიდ ზარალს მოუტანს ქვეყანას. აი, ამ მხრივ, ქვეყანას მძიმე შედეგები აქვს.

— რაც შეეხება თვითიზოლაციაში მყოფ ადამიანებს, ამ დროისთვის, თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში იძულების წესით 12 ადამიანია გადაყვანილი. რამდენად პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს თვითიზოლაციაზე უარისმთქმელი და დაუმორჩილებელი ადამიანები?

— ეტყობა, ხასიათის პრობლემაც არის. იტალიაში ვირუსის გავრცელებას იტალიელების მენტალიტეტმა შეუწყო ხელი. მათაც დრამატული რეაქცია არ ჰქონდათ. მიაჩნდათ, რომ ეს სერიოზული მოვლენა არ არის და ამან ყველაფერმა მიიყვანა სიტუაცია იმ ვითარებამდე, რასაც ვაკვირდებით. იტალია იმიტომ მომყავს მაგალითად, რომ იტალია არის ევროპა, მაგრამ ისიც იგივე პრობლემის წინაშე დადგა, როგორც ჩვენ.

თუ ადამიანს გულგრილი დამოკიდებულება აქვს რაღაცა მოვლენების მიმართ, მან შეიძლება ადეკვატურად ვერ შეაფასოს საფრთხე. ამიტომ, ალბათ, გასაკვირი არ არის ასეთი მოვლენები. მგონია, რომ საქართველო ამ ამოცანას თავს ართმევს. თორემ, პრინციპში ყველა ქვეყანაში შეიძლება გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ადეკვატურად არ შეაფასებენ შექმნილ სიტუაციას.

— შექმნილი ვითარების ფონზე, საკმაოდ საინტერესო იყო საბჭოთა კავშირის უკანასკნელი მმართველის მიხეილ გორბაჩოვის მოწოდება. იგი მსოფლიო ლიდერებს მიმართავს, რომ შეჩერდნენ, ვიდრე მოვლენები კატასტროფულ შედეგებამდე არ მივა. მისი თქმით, ჰაერში ომის სუნი დგას. გორბაჩოვის ვერსიას რომ გავყვეთ, შეიძლება ითქვას, რომ ჰაერში ომის სუნი დგას, მით უმეტეს ახლა, როდესაც მთელი მსოფლიო ებრძვის კორონავირუსს, როგორც მთავარ პრობლემას?

— პრინციპში, ეგ სუნი დგას. ოღონდ მიჭირს იმის გახსენება, როდის არ იდგა!.. როდესაც ვსაუბრობთ ძალთა დაბალანსებაზე, ეს დაპირისპირება და ძალთა დაბალანსება ყოველთვის თავის თავში ატარებს აგრესიის ელემენტს. ომს დაარქმევ, თუ დაპირისპირებას, ამით კონფრონტაციის აზრი არ იცვლება. ყოველთვის ასე იყო. გორბაჩოვის პერიოდში შემცირდა იმის ხარჯზე, რომ როგორც საბჭოთა კავშირის ლიდერებმა, ძალიან ბევრი ნაბიჯი გადადგეს დასავლეთის მიმართულებით. თუ შეიძლება ითქვას, საკუთარი პოზიციების დათმობის ხარჯზე, მან შეამცირა კონფრონტაცია. სხვა ყველა პერიოდში ეს დაძაბულობა იყო. გორბაჩოვი ახალი დაძაბულობის კერებსაც ახსენებს, ეს არის ჩინეთი და ამერიკა, ასევე ისლამური ფუნდამენტალიზმის, თუ აგრესიული ისლამისა და დანარჩენი მსოფლიოს დაძაბულობა. დამოკიდებულება, რომ არიქა, დაძაბულობა არ უნდა იყოს, ნაწილობრივ რომანტიკულიც არის და არარეალისტურიც. მთავარია, დაძაბულობა დამანგრეველი არ გახადო.

თამთა ქარჩავა

მოხუცებისთვის ერთ დღეში შეგროვებული 55 ათასი ლარი

კორონავირუსის პანდემიის პარალელურად, **სამმა ქალმა ქართველი მოხუცებისთვის 55 000 ლარზე მეტი შეაგროვა ერთ დღეში ფეისბუქის ჯგუფის საშუალებით.**

13 მარტს, დაახლოებით 4 საათზე, მარიამ თითბერიძემ მარიამ ჯორბენაძესა და მარიამ ცერცვაძესთან ერთად ფეისბუქზე შექმნა ჯგუფი „დავეხმაროთ მოხუცებს“. იდეა სპონტანურად გაუჩნდათ, მას შემდეგ, რაც მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით, სოციალური დახმარების ცენტრმა „კათარზისმა“ მომსახურების წესი შეცვლა და საკვებს შენობის ნაცვლად ეზოდან გასცემს.

„ნამდვილად არ გვიფიქრია, რომ ასე აიტაცებდა ხალხი ამ ინიციატივას“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ მარიამ თითბერიძე და განაგრძობს: „ვფიქრობდით, 5, მაქსიმუმ, 10 ათასი ლარის აკუმულირებას შევძლებდით“.

14 000 წევრისგან შემდგარი ჯგუფის აღწერაში ორგანიზატორები წერენ: **„გამომდინარე იქიდან, რომ კორონავირუსის პირობებში სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ ხალხის სახლში დარჩენა, შევქმენით ეს ჯგუფი, რათა მაქსიმალურად სწრაფად ავაგროვოთ თანხა, რომ თითოეულ მოხუცს ჰქონდეს მინიმუმ რამდენიმე დღის საკვები და არ დადგეს ვირუსის ან შიმშილის რისკის ქვეშ“.**

ტელეფონი მთელი დღის განმავლობაში არ გაჩერებულა. ზოგი 1 ლარს რიცხავდა, ზოგი 50-ს, იყო 500-ლარიანი ტრანზაქციაც. ჯგუფის შექმნიდან ერთ საათში ანგარიშზე 8 000 ლარამდე ჩაირიცხა. საერთო ჯამში, ერთ დღეში მოხუცებისთვის შეგროვდა 55 ათას ლარზე მეტი, კიდევ ვაუჩერები სხვადასხვა კომპანიისგან, უფასო პროდუქტი...

მარიამები დაუკავშირდნენ „კათარზისს“, თბილისის მერიის უფასო სასადილოებს, ასევე, ეკლესიებს, მოხუცებულთა თავშესაფრებს, პანსიონატებს. ახლა ბაზას ადგენენ, სურთ, რამდენიმე ასეულ მოხუცს დაეხმარონ. **„არ გვინდა, რომ მხოლოდ საკვებით შემოვიფარგლოთ. ამ ადამიანებს სჭირდებათ ჰიგიენის ნივთებიც და მედიკამენტებიც“.**

თანხის შეგროვება უკვე შეწყდა. სამ ადამიანს მეტი ფიზიკური რესურსი არ გვაქვსო, ამბობენ ორგანიზატორები. **„სიკეთეს გავავრცელებთ და სხვას მივცემთ მუხტს, მათაც გააკეთონ სიკეთე“,** — ამბობს მარიამ თითბერიძე.

თორნიკე მანდარია

მოხალისეთა ქველმოქმედება

დედაქალაქში მოქმედ 62 **უფასო სასადილოში, კორონავირუსის რისკებისგან დასაცავად, მომსახურების ახალი წესი ამოქმედდა. ახალი წესის თანახმად, განსაკუთრებული რისკის მქონე ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციარებს, ასევე, მარტოხელა მოხუცებსა და თვითიზოლაციაში მყოფ ბენეფიციარებს სპეციალისტების მიერ დატრენინგებული მოხალისეები საკვებს სახლში მიუტანენ,** — ინფორმაციას ამის შესახებ თბილისის მერია ავრცელებს. მოხალისეები ბენეფიციარებს უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით და შესაბამისი ეკიპირებით ემსახურებიან. **აღნიშნულ კატეგორიას მიკუთვნებულ ადამიანებს, შეუძლიათ დარეკონ მერიის ცხელ ხაზზე (032 2 722222), განაცხადონ, რომ სურთ აღნიშნული მომსახურება.**

კვების ობიექტები მიტანის სერვისზე გადადიან

კვების ობიექტებს მიეცათ რეკომენდაცია, **შეწყვიტონ ადგილებზე მომხმარებლების მომსახურება და მაქსიმალურად გადავიდნენ მიტანის სერვისზე,** — ამის შესახებ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავა განაცხადა.

„კვების ობიექტებს მიეცათ რეკომენდაცია, შეწყვიტონ ადგილებზე მომხმარებლების რეკომენდაცია და მაქსიმალურად გადავიდნენ მიტანის სერვისზე. ეს გადაწყვეტილება ბიზნესს გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს, მაგრამ ჩვენ გვაქვს აქტიური კომუნიკაცია და მზად ვართ, ყველა პრობლემა ოპერატიულად გავიაროთ“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

გვიცავს თუ არა არყით ხელების გაწმენდა კორონავირუსისგან?

კორონავირუსის შესახებ საზოგადოების შეშფოთების ზრდასთან ერთად იმატებს მოთხოვნა ხელის სადეზინფექციო საშუალებებზე. ბალტიმორის უნივერსიტეტის ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი ჯეფრი გარდნერი განმარტავს, რატომ არის ალკოჰოლი ხელის სანიტაიზერების მთავარი ინგრედიენტი და რატომ არ არის რეკომენდებული ასეთი საშუალებების სახლში დამზადება.

1. რატომ არის ალკოჰოლი ხელის სანიტაიზერთა უმეტესობის მთავარი ინგრედიენტი?

ალკოჰოლი ეფექტიანად კლავს სხვადასხვა ტიპის მიკრობს, როგორც ვირუსებს, ისე ბაქტერიებს, რადგან ის შლის და აქტიურობას უკარგავს მათ ცილებს. ეს პროცესი, რომელსაც დენატურაციას უწოდებენ, მიკრობს ასახიჩრებს და ხშირად კლავს, რადგან არღვევს მათ ცილებს.

ზოგიერთი ცილის დენატურაცია სიცხესაც შეუძლია. მაგალითად, როდესაც კვერცხს ხარშავთ ან წვავთ, გამაგრებული თეთრი ნაწილი დენატურირებული ცილაა.

2. ზოგიერთ მიკრობს ალკოჰოლი კარგად ვერ კლავს, რატომ?

არსებობს ბაქტერიისა და ვირუსის სხვადასხვა ტიპები, რომელთაგან ზოგიერთს ალკოჰოლი უფრო იოლად კლავს. მათ შორის არის ნაწლავის ჩხირი (E. Coli) ბაქტერია, რომელსაც არაერთი ინფექციის გამოწვევა შეუძლია.

სხვადასხვა ტიპის ბაქტერიის გარსი ერთმანეთისგან განსხვავდება, რის გამოც, ალკოჰოლი ზოგიერთი მათგანის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანია, ზოგიერთისთვის — კი არც ისე.

ბაქტერიის მსგავსად, გარე საფარი აქვს ზოგიერთ ვირუსსაც, რასაც გარსს უწოდებენ. ზოგს ეს გარსი არ აქვს. ალკოჰოლი ეფექტიანია გარსის მქონე ვირუსების, მათ შორის კორონავირუსების მოსაკლავად, მაგრამ ნაკლებად ეფექტიანად კლავს გარსის არმქონე ვირუსებს.

მრავალი კვლევის მიხედვით დადგენილია, რომ ბაქტერიებსა და ვირუსებს ეფექტიანად კლავს 60 პროცენტზე მეტი კონცენტრაციის მქონე ალკოჰოლი.

3. არის თუ არა 100-პროცენტიანი ალკოჰოლი უკეთესი?

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, არა! ცილის დენატურაცია (დარღვევა) უფრო სწრაფად ხდება, როდესაც ალკოჰოლში შერეულია მცირე ოდენობით წყალი. სუფთა ალკოჰოლი იმდენად სწრაფად ორთქლდება, რომ თქვენს კანზე არსებული ბაქტერიების ან ვირუსების მოკვლას ვერ ასწრებს, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც ჰაერის ტენიანობა შედარებით დაბალია.

გარდა ამისა, 100-პროცენტიანი ალკოჰოლი კანს გამოგიშრობთ და გაგიღიზიანებთ. ამიტომ არის აუცილებელი, რომ ხელების დეზინფექცია არ გაიკეთოთ იმაზე ხშირად, ვიდრე საჭიროა.

სწორედ ამიტომ შეიცავს ხელის სანიტაიზერთა უმეტესობა დამარბილებელ საშუალებებს, რომლებიც კანს ტენის შენარჩუნებაში ეხმარება.

4. კარგი იდეაა თუ არა ხელის სანიტაიზერის სახლში დამზადება?

პროფესორ ჯეფრი გარდნერის აზრით, არა! დასამზადებელი ფორმულების ნახვა ინტერნეტში ადვილად არის შესაძლებელი, სადაც ძირითადად არყის გამოყენებას გვირჩევენ. სასმელი არყების უმეტესობაში კი ალკოჰოლის შემცველობა 40 პროენტს არ აჭარბებს, რაც მიკრობების მოსაკლავად საკმარისი არ არის.

შეიძლება, კარგი იდეა იყოს სპირტი, რომელსაც ჭრილობებისა და ნაკაწრების დასამუშავებლად იყენებენ, მაგრამ თუ სააბაზანოსთან ახლოს ხართ, უკეთესი არჩევანია ხელების დაბანა საპნითა და ცხელი წყლით.

5. აქვს თუ არა ვადა ხელის სანიტაიზერებს?

ბაზარზე არსებულ ხელის სადეზინფექციო საშუალებათა უმეტესობა სწორად შენახვის პირობებში ეფექტიანობას რამდენიმე წელიწადს ინარჩუნებს; ყველა მათგანს შეფუთვაზე აღნიშნული აქვს ვარგისიანობის ვადა.

აუცილებელია გახსოვდეთ, რომ ალკოჰოლი აქროლადია, რაც იმას ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ის ორთქლდება და სანიტაიზერი ვირუსებისა და ბაქტერიების ეფექტიანად მოკვლის უნარს კარგავს. კარგი ამბავი კი ის არის, რომ ახლა, როცა ამ საშუალებებზე ასეთი მოთხოვნაა, თითქმის არ არსებობს იმის შანსი, რომ შემთხვევით ვადაგასული იყიდოთ.

1TV.GE

10 საკვები, რომელიც სიმსივნეს ებრძვის

გამოთქმა: „რასაც მივირთმევთ განსაზღვრავს სიცოცხლისუნარიანობას“ ზუსტი ჭეშმარიტებაა. ჯანსაღად და ნორმირებულად კვება სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის უმთავრესი წინაპირობაა. დანარჩენ შემთხვევებში სხვა და სხვა დაავადებების შეძენის რისკები, ცხადია, მატულობს.

სიმსივნეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, თუმცა მეცნიერები თანხმდებიან, რომ თქვენს კვების რაციონში განსაზღვრული რაოდენობის პროდუქტების დამატება მკვეთრად ამცირებს დაავადების განვითარების რისკებს. ნატურალურ პროდუქტებს, ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებსა და მინერალებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ კიბოს უჯრედებთან ბრძოლაში. „ბიზნეს ინსაიდერის“ ინფორმაციით, ეს ის 10 საკვებია, რომლებიც თქვენი იმუნიტეტის სტიმულირებას ხელს შეუწყობს:

ბროკოლი: ბროკოლი მდიდარია ფოლატებით, რომელიც აუცილებელია სისხლის განახლებისათვის და ტონუსის ამაღლებისათვის. ბროკოლი ჭარბწონიანობის, წყლულის და კიბოს საწინააღმდეგოდ ცნობილი საშუალებაა;

პომიდორი: პომიდვრის კიბოს საწინააღმდეგო ქმედება უამრავი კვლევით დადასტურებულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ის კიბოს მხოლოდ რამდენიმე სახეობაზე მოქმედებს. პომიდორს გაჩნია ორი ძლიერმოქმედი — მძლავრი ანტიოქსიდანტური და ასევე მძლავრი ანტიანთებითი თვისება, რაც ერთნაირად მნიშვნელოვანია კიბოს დასამარცხებლად. კიბოს ბევრი სახეობა იწყება ქრონიკული მჟავიანობის სტრესითა და ქრონიკული ანთებითი დაავადებებით, პომიდორი კი ამ პროცესებს ბლოკავს და სპობს;

ნიორი: ნიორს გააჩნია ძლიერი ანტიმიკრობული ზემოქმედების უნარი, რაც განპირობებულია მისი რთული ქიმიური შემადგენლობით. იგი შეიცავს 500-მდე გოგირდის შემცველ სხვადასხვა ქიმიურ შენაერთს, რაც უზრუნველყოფს მის მნიშვნელოვან ფუნქციას შეებრძოლოს 150-მდე დაავადებას და მათ გამომწვევ მიზეზებს. კერძოდ, იგი ამარცხებს ისეთ მწვავე სოკოვან ინფექციებს, როგორიცაა კანდიდოზი, რომელიც, თავის მხრივ, გვევლინება, როგორც კიბოს მაპროვოცირებელი;

სიმინდი: შემწვარი თუ მოხარშული სიმინდის მარცვლები შეიცავს ბეტა-კრიპტოქსანტინსა და ფეროულ მჟავას, რის შედეგადაც შესაძლებელია კიბოს ზრდის დათრგუნვა;

ჭარხალი: კვლევებმა დაადასტურეს, რომ ბეტაინი აჩერებს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას;

სტაფილო: სტაფილო დიდი რაოდენობით შეიცავს კაროტინს, ეს კი ძალიან სასარგებლოა მხედველობისა და იმუნური სისტემის გასაძლიერებლად. სტაფილო კიბოს დაავადების განვითარებას ებრძვის;

მწვანე ჩაი: მწვანე ჩაის ანტიბაქტერიული და ანტიკარიესული ეფექტები აქვს.

ბოლოდროინდელი გამოკვლევებით კი დადასტურდა ამ მცენარის ნაყენის ანტიკანცეროგენული მოქმედებაც.მწვანე ჩაის ანტისიმსივნური ეფექტიც აქვს;

ისპანახი: ისპანახი ძუძუს კიბოს განვითარების რისკს 40%-ით ამცირებს. საიდუმლო კაროტინოიდებშია, რომელიც ბლოკავს არასტაბილურ მოლეკულებს — თავისუფალ რადიკალებს. ეს უკანასკნელი კი იწვევს დნმ-ს დაზიანებასა და კიბოს;

ლობიო: ლობიო ანტიოქსიდანტებითაა მდიდარი და თავისუფალი რადიკალებისგან გიცავთ. თავისუფალი რადიკალები ვნებს თქვენს უჯრედებს. 90 000 ქალბატონზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ იმ კატეგორიაში, ვინც ლობიოს ან ოსპს 8 წლის განმავლობაში კვირაში მინიმუმ ორჯერ მიირთმევდა, ნაკლები იყო ძუძუს კიბოს განვითარების რისკი.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჰამდათ ჯადიქარ ყიზის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰამდათ ჯადიქარ ყიზი (პ/ნ 20001033579), თელავი, ს. ყარაჯალა.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თელავი, ს. ყარაჯალა (საკადასტრო კოდი: 53.10.42.036).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11749.8 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 17 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 31 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65535720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 655357
6. **მოვალე:** ჰამდათ ჯადიქარ ყიზი (პ/ნ 20001033579), თელავი, ს. ყარაჯალა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65535720; ლოტის ნომერი: 655357).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 31 მარტის 10:00 საათამდე.

◎ ჭადრაკი

რაუნდი – III, ადგილი – I

ლოზანაში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს 2019-2020 წლების გრან პრის მესამე ეტაპზე (საპრიზო ფონდი 80.000 ევრო) წრიული სისტემით 12 დიდოსტატი ეცილებოდა ერთმანეთს საპრიზო ადგილებს. ბოლო ტურში ლიდერები – ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) დაზავდნენ. საბოლოოდ მათ 7-7 ქული მოაგროვეს. პირველი ადგილი ქართველ მოჭადრაკეს ხვდა, რადგან მეტოქეზე ერთი მოგებით მეტი (სულ ტურნირზე 4 პარტია მოიგო, ერთში დამარცხდა და ექვსი შეხვედრა ყაიმით დაასრულა) აღმოაჩნდა.

საბოლოოდ კი ადგილები ასე განაწილდა: ნანა ძაგნიძე, ალექსანდრა გორიაჩკინა – 7-7, ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი) – 6.5, ალინა კაშლინსკაია (რუსეთი), ანა მუზიჩუკი (უკრაინა) – 6-6, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), მარია მუზიჩუკი (უკრაინა) – 5.5-5.5, ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი), პია კრამლინგი (შვედეთი) – 4.5-4.5, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), მარი სებაგი (საფრანგეთი) - 4-4 ქულა.

ფიდემ გრან პრის მესამე რაუნდის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა გამოაქვეყნა: 1. ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) – 398 (3 ტურნირის ჯამში), 2. ჰამპი კონერუ (ინდოეთი) – 293 ქულა (2), 3. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) – 193 (3), 4. ნანა ძაგნიძე (საქართველო) – 180 (2), 5. კატერინა ლაგო (რუსეთი) – 180 (2), 6. ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) – 180 (3), 7. ანა მუზიჩუკი (უკრაინა) – 165 (2), 8. ცზიუი ვენძიუნი (ჩინეთი) – 155 (2), 9. ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) – 130 (2), 10. მარია მუზიჩუკი (უკრაინა) – 120 (2), 11. ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი) – 110 (1), 12. პია კრამლინგი (შვედეთი) – 105 (3), 13. ელიზაბეტ პეტცი (გერმანია) -– 95 (2), 14. ვალენტინა გუნინა (რუსეთი) – 85 (2), 15. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) – 85 (2), 16. მარი სებაგი (საფრანგეთი) – 40 (2). 17. ჩჟაო სიუე (ჩინეთი) – 35 (1).

გრან პრის 2019-2020 წლების გათამაშებაში მსოფლიოს 17 საუკეთესო დიდოსტატი მონაწილეობს. თითოეული მათგანი ოთხიდან (მეოთხეს მაისში სარდინია უმასპინძლებს) სამ რაუნდში იასპარეზებს და ამ ტურნირებში მოპოვებული ქულების ჯამით გამოვლინდება ორი უძლიერესი, რომლებიც 2021 წლის პრეტენდენტთა ტურნირის საგზურებს მოიპოვებენ.

ლექსო ცინცაძე

„ბრინჯაოთი“ ამოუყვინთეს

წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც კიევმა უმასპინძლა, სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის ოთხი ქართველი გახლდათ – სანდრო მელიქიძე, თორნიკე ონიკაშვილი, ჭოლა ჭანტურია და ირაკლი საკანდელიძე (მთავარი მწვრთნელი-ალექსანდრე ბართაია, მსაჯად იყო მიწვეული საერთაშორისო არბიტრი ირაკლი ბართაია).

ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 20 მონაწილეს შორის 304 ქულით მე-5 იყო თორნიკე ონიკაშვილი. მთავარი პრიზი 341 ქულით რუსმა ილია მოლჩანოვმა მოიპოვა. სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში 8 წყვილი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. თორნიკე ონიკაშვილისა და სანდრო მელიქიძის დუეტს 318.03 ქულით ბრინჯაოს მედალი ხვდა. 390.10 ქულით პირველი იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორები – ოლეგ კოლოდი და ალექსანდრ გორშკოვოზოვი (ორივე - უკრაინა), ხოლო ბერძნებს – ათანასიოს ცირიკოსსა და ნიკოლაოს მოლვალისს (331.53 ქულა) ვერცხლის მედლები ერგოთ.

ქართველ სპორტსმენებს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც უნდა ეასპარეზათ, მაგრამ კორონავირუსის გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით უკრაინის მთავრობის რეკომენდაციით ტურნირი ნაადრევად დატოვეს.



 წყალხტომა

სალიცენზიო მსოფლიოს თასი, ვირუსის გამო თუ რამე არ შეიცვალა, 21-26 აპრილს ტოკიოში გაიმართება. ინდივიდუალურ ხტომებში იქ 18 საგზური გათამაშდება, ხოლო სინქრონულ ხტომებში კონკურენტები 4 ლიცენზიისთვის იბრძოლებენ. ქართველთაგან ინდივიდუალურში ორნი იასპარეზებენ – ჭოლა ჭანტურია და სანდრო მელიქიძე ან თორნიკე ონიკაშვილი, ხოლო წყვილებში სანდრო და თორნიკე მოსინჯავენ ძალებს.

გივი გაგუა

◎ წყალბურთი

დასანანი მარცხი ფინალში

საქართველოს 19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები (გიორგი გვეტაძე, დაჩი თევდორაშვილი, გუგა კუჭუაშვილი, საბა ტყეშელაშვილი, ანრი კირიაკიდი, ნიკა გაგოშიძე, დიმა ჭუმბურიძე, ლუკა ბარბაქაძე, დათუნა ჩხეიძე, დათა შუბითიძე, გიორგი ერისთავი, მთავარი მწვრთნელი დევი გვახარია, მწვრთნელები – ირაკლი გოგიჩაიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე) სერბეთის ქალაქ ბეჩეის ეწვია საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ. ჩვენმა ბიჭებმა ჯგუფში ზედიზედ სძლიეს მასპინძელთა „ვოივოდინას“ – 12:9 და ბელარუსის ნაკრებს – 13:12, ხოლო პოლონელებთან ფრედ დაამთავრეს შეხვედრა – 8:8. მერე ამ ოთხეულმა ნახევარფინალური მატჩებიც გამართა. ქართველებმა „ვოივოდინას“ 15:6 მოუგეს, ბელარუსებმა კი ასეთივე ანგარიშით პოლონელებს აჯობეს. ფინალური ორთაბრძოლის ძირითადი დროის დამთავრებამდე 12 წამით ადრე ჩვენები წინ იყვნენ 9:8. დროის ამ მცირე მონაკვეთში სლავებმა წონასწორობა აღადგინეს, შემდეგ პენალტებში იყოჩაღეს და მატჩი საბოლოოდ 13:12 მოიგეს. ქართველებს მე-2 ადგილი ერგოთ.

როგორც ნაკრების მესვეურებმა გვითხრეს, ტურნირზე კორონავირუსის საშიშროების გამო ორი ქვეყნის ნაკრები არ ჩამოვიდა და ჩვენებმაც არასრული შემადგენლობით ითამაშეს. ამის მიუხედავად, მათ სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ტურნირის საუკეთესო მეკარედ **გიორგი გვეტაძე** დაასახელეს, საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი გუნდის კაპიტან **გუგა კუჭუაშვილს** გადაეცა.

19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს, თუ რამე არ შეიცვალა, სექტემბერში საბერძნეთი უმასპინძლებს. გადამწყვეტი რაუნდის საგზურის მოსაპოვებლად ქართველ წყალბურთელებს 3-5 აპრილს თურქეთში უნდა ეთამაშათ თურქეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და პოლონეთის წინააღმდეგ, მაგრამ კორონავირუსის გამო შეჯიბრება მაისის შუა რიცხვებისთვის გადაიდო.

ლაშა დიდია

◎ 64



წლების მანძილზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა

პირველი ქართველი დიდოსტატი

გამოუვალს გამოსავალი ამარცხებს...

ბუხუტი გურგენიძეს (1933, სურამი – 2008, თბილისი) – ჩვენი ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონს, ქართველ ქალ მოჭადრაკეთა მწვრთნელს 1989-1994 წლებში, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ვიქტორ გოგლიძის პირველი მემორიალის გამარჯვებულს (1969) – I-II ადგილი მიხეილ ტალთან ერთად, ქართველი მოჭადრაკეებიდან პირველს მიენიჭა დიდოსტატის წოდება.

სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე (მოსკოვი, 1959) ბორის სპასკის შემდეგ II ადგილი დაიკავა და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს, ხოლო მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი და პრეტენდენტი მიხეილ ტალი უკან ჩამოიტოვა. დიდოსტატი იხსენებს: **„ყოველ ზაფხულს სურამში ჩავდიოდი მამიდასთან. 10 წლისა ვიყავი, ჭადრაკის თამაში რომ მასწავლა მამიდაშვილმა, ცნობილმა ინჟინერ-მშენებელმა კაკო ლომიძემ. 12 წლისა ერთდროულ სეანსში ვეთამაშე საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მიხეილ შიშოვს. მაშინ ჭადრაკის შოვნა პრობლემა იყო, ამიტომ საკუთარი ხელით გამოვძერწე სანთლის ფიგურები და ისინი დაფაზე დავწყვე. შეხვედრა ჩემი გამარჯვებით დასრულდა.“.**

ფ. ბონდარენკო
„სუომენ შაკკი“
1947



მოგება



ლაბიერი საიმედოდ არის გამოიშუალი, მეგრამ
გამარჯვების მისაღწევად უნდა გვიანვისუვლოს
ოუნდოდ ერთი ფიგურა 1. ჯf2-e1 მg6-c2 2. მg7-f2-d4-c2-d3
3. ჯe1-d5 მg4-c4 4. ჯd5:c7 მg c4-d5 ანიკი c5 მოხვალოდ
(4... მg:c5? 5. მe4+) 5. ჯc7-d6 მg d5-c4 ამჩვენა „ბატი"
ლაბიერზე, ყველგოვში ტრანსფორმირდა „ულვაში".
6. მg3-f1 ლh2-h1 7. ჯd6-h2 მg c4:c5 8. ჯh2-g1 მg c5-b5
9. მf1-g3 და თეთრები იმარჯვებენ.

შენიშვნა: ფილიპ ბონდარენკო (1915), საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში (1966), მრავალი წიგნის ავტორი. საბჭოთა კავშირის 7 პირადი ჩემპიონატის მონაწილე, მათ შორის 35 პირველი პრიზის მფლობელი.საერთაშორისო ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში (1979).

ბ. გურგენიძე პოზიციური სტილის მოჭადრაკე გახლდათ. იგი მრავალი სადებიუტო სისტემის იმპროვიზირების ავტორია. მათ შორის გამორჩეულია კარო-კანის დაცვა.

გთავაზობთ ფილიპ ბონდარენკოს ეტიუდს დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძის კომენტარებით.

თამაზ შენგელია

ხსოვნა

სამშობლოს სიყვარულით დაფერფლილი მეცხოვნე...

გენო კალანდიას გახსენება



სამი წელი გავიდა ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის **გენო კალანდიას** გარდაცვალებიდან.

მისი გარდაცვალება მძიმე და მტკივნეული აღმოჩნდა ყველასთვის; მას იგონებდნენ როგორც ღირსეულ მამულიშვილს, ეროვნული მოძრაობისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის აქტიურ მებრძოლს, გამოჩენილ ქართველ პოეტს.

გენო კალანდია იყო საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატი (1992-2004წწ), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი.

გენო კალანდიას ცხოვრება და მოღვაწეობა იყო თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორი თავდადებით უნდა ემსახურო საკუთარ ხალხს და სამშობლოს. ის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი და პოეტი, ყოველთვის იმყოფებოდა ბრძოლის წინა ხაზზე. მისი ომახიანი ხმა აფხაზეთის ომის დღეებში, ჭუბერის გოლგოთის გზაზე ამოქმედებული სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში, საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან თუ მისი პოეტური კრებულებიდან, ყველგან და ყოველთვის ისმოდა, როგორც გამამხნევებელი და იმედის მომცემი, უკეთესი მომავლის რწმენისა და სულის სიმტკიცის შენარჩუნებისაკენ მომწოდებელი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მთელი შემადგენლობა, გენო კალანდიას უახლოესი მეგობრები, ოჯახის წევრები მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგაც კვლავ გაუნელებელი გულისტკივილით მივაგებთ პატივს ადამიანს, რომელიც სამშობლოს სიყვარულით, აფხაზეთში დაბრუნების იმედით ყოველთვის მოვლენების შუაგულში ტრიალებდა და ერთი წუთითაც არ კარგავდა იმედს, რომ მოესწრებოდა საკუთარ სახლში, სოხუმში ამაყად დაბრუნების საოცნებო ჟამს... ჟამს, რომელსაც, სამწუხაროდ, გენო კალანდია ვერ მოესწრო, მაგრამ მას თან გაჰყვა რწმენა იმისა, რომ, თუ არა ის, მისი მონაგარი აუცილებლად შეძლებს მშობლიურ მხარეში ღირსეულად დაბრუნებას!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;
საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი
დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია,
ოთარ ჭითანავა, ვალერი ჭანტურია, ავთანდილ თევზაძე.

მიხეილ გოგიჩაიშვილი — 100

სამშობლოზე მოფიქრალი კაცი

*17 მარტს 100 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ პარტიულ და საზოგადო მოღვაწეს **მიხეილ გოგიჩაიშვილს**. ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პატონი **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** გახსენებას.*

მიშა გოგიჩაიშვილი ბევრისთვის ძალიან საყვარელი და გულთბილი ადამიანი იყო. იმ სისტემაში ითვლებოდა ყველაზე სუფთა და პატიოსან პიროვნებად. ნიკო ჭავჭავაძესთან, ოთარ ქინქლაძესთან და ჩემთანაც ის ხშირად ივიწყებდა თავის თანამდებობას და გულახდილად საუბრობდა ბევრ საკითხზე. მას განსაკუთრებით აწუხებდა საქართველოს, მისი ხალხის მომავალი.

ჩემი აზრით, მ. გოგიჩაიშვილი უცხო კაცი იყო საკავშირო პოლიტბიუროს მაღალი რანგის წევრებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ გავლილი ჰქონდა კომკავშირული და პარტიული მუშაობის მთელი რიგი საფეხურები. ამიტომაც მის პირველ მდივნად გაყვანას საკავშირო ცეკას იმპერიულად განწყობილი ძალები არ დაუშვებენ.

იგი, ცხადია, გაორებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთი მხრივ, იყო თანამედებობრივ სკამზე მჯდომი ხელმძღვანელი, მეორე მხრივ კი — სხვა, ძალიან ბევრისთვის უცნობი მ. გოგიჩაიშვილი. სამსახურის გარეთ იგი გახლდათ სულიერ მეგობრებთან გულახდილად და დაუფარავად მობაასე კაცი. ამ საუბრებში ნათლად ვლინდებოდა მისი შინაგანი, საკმად კრიტიკული დამოკიდებულება არსებული რეჟიმის მიმართ, მისი მამულიშვილური სულისკვეთება.

მიშა გოგიჩაიშვილს ჰქონდა ზოგადი მოდელი საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. მას სწამდა, რომ არსებული წყობის ტრანსფორმაციითა და გარდაქმნით შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება. პერსპექტივაში იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისთავადობის და რეალური დამოუკიდებელი არსებობის მომხრე იყო.

მიშა ამბობდა: „ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ჯერ არ ვართ მზად“. მან, რასაკვირველია, იცოდა, რომ ამ მიზნისკენ მიმავალი გზა ძნელი და შორი იქნებოდა. მეგობრებიც გულგახსნილნი ვიყავით მასთან. ასეთ ადამიანთა რიხვი ფრიად მცირე იყო. ასე რომ, მიშა გოგიჩაიშვილი შემიძლია, დავახასიათო, როგორც ორი სხვადასხვა — შინაგანი და გარეგანი სახის მქონე პიროვნება.

სანთელი

სიყრმის მეგობრები — ლერი ჯიქია, ჯანო სართანია, გურამ აფაქიძე, ჯემალ კვირტია, ასევე კლიმენტი ჯანჯღავა, გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი და დაუვიწყარი პიროვნების, მოყვასის, სიყვარულის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის

ზაურ ჯალაღონიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, უახლოეს ადამიანებს და მრავალრიცხოვან მეგობრებს.

მშვიდობით ძმაო და მეგობარო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში ცნობილ მთარგმნელს, კოლეგასა და მეგობარს ლაშა დადიანს ვაჟის

ცოტნე დადიანის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

სასწრაფოს დისტრიბუციის მანქანა დაეჯახა

თბილისში ჯანდაცვის სამინისტროს კატასტროფის ბრიგადის ავტომობილს მიკროავტობუსი დაეჯახა. დაშავებულია მედპერსონალი.

ავტოსაგზაო შემთხვევა დიღომში, რობაქიძის გამზირზე, გამთენიისას მოხდა. ბრიგადა აეროპორტში გამოძახებაზე მიდიოდა, როდესაც მათ, სავარაუდოდ, დისტრიბუციის ავტომანქანა დაეჯახა. დაშავდნენ მძღოლი, ექიმი და ექთანი. ექიმს თავის ტვინის შერყევა და დაჟეჟილობები აქვს, მძღოლისა და ექთნის მდგომარეობა კი მსუბუქია.

კახეთში ნარკოდანაშაულისთვის 5 ადამიანი დააკავეს

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს ხუთი პირი: 1972 წელს დაბადებული ნ. ქ., 1975 წელს დაბადებული შ.ი., ასევე, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევები - 1980 წელს დაბადებული მ.კ., 1989 წელს დაბადებული ზ.ბ. და 1985 წელს დაბადებული გ.თ.

პოლიციამ, დაკავებულთა პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: სარეალიზაციოდ გამზადებული, 10 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“ და 33 აბი „მეტადონი“ (მარილი).

გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა—ლარსის(რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ინტენსიური თოვის გამო ზვავსაშიშროების საფრთხის დონე მაღალია, რის გამოც აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გარდა ამისა, თოვის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (მოწამეთა)-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ39-კმ60 (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

„მაშველი რგოლი“

პოეტის ერთი სტრიქონი

მთელ მსოფლიოს კორონავირუსის პანდემია მაჯლაჯუნასავით დააწვა!

არავინ იცის, ეს როდემდე გასტანს ან რით დამთავრდება!

ნუთუ ღმერთიც გაგვწირავს? - ეს კითხვა ყველგან ისმის.

საქაღალდეში რაღაცის ძებნისას შემთხვევით წავაწყდი **„ლიტერატურული მესხეთის“** 2012 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული **ავთანდილ ბერიძის** ლექსებიდან საგანგებოდ ამოწერილ ამ ერთადერთ სტრიქონს, რომელიც განგებამ პოეტს თითქოს საამდღეოდ შთააგონა.

ვიცი, რომ ქვეყნად არ არის ღმერთი, რომელსაც ჩემი დაღუპვა სურდეს!

რუსთაველის კუთხიდან წამოსული ეს ერთი სტრიქონი ვინ იცის, რამდენს აავსებს რწმენითა და იმედით!

ჯემალ მეხრიშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა

ბინა გივი სვანიძის ქუჩა №10, მე-6 სართული, 72 კვ.მ მწვანე კარკასი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 577504664.

კარანტინი იტალიურად

იტალიაში გამოცხადებული კარანტინის პირობებში ქვეყნის მასშტაბით ფლეშმობი დაიწყო, რომლის მონაწილეებიც ხალხს მოუწოდებენ აივნებზე გამოვიდნენ და სიჩუმე დაარღვიონ. ფლეშმობის მიზანი ერთმანეთის მხარდაჭერა და გამხნევებაა. იტალიელები აივნებზე ყოველ საღამოს, 18:00 საათზე გადიან.

ვაქცინის პირველი კლინიკური ცდა

აშშ-ში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი კლინიკური ცდა ჩატარდება. ცდას აშშ-ის ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი აფინანსებს და ის ვაშინგტონში ჩატარდება.

ტესტირება 45 ახალგაზრდა მოხალისეს ჩაუტარდება, მათ ვაქცინის განსხვავებულ დოზებს გაუკეთებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ვაქცინით მოხალისეები კორონავირუსით ვერ დაინფიცირდებიან, რადგან ვაქცინა ვირუსს არ შეიცავს. გამოცდის მიზანია, დადასტურდეს, რომ ვაქცინას სიცოცხლისთვის საშიში გვერდითი მოვლენები არ აქვს. ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ვაქცინის სრულად შემოწმებას ერთი წლიდან 18 თვემდე პერიოდი დასჭირდება.

სახლები და მიწის ნაკვეთები... უფასოდ

ხორვატიის ქალაქ ლეგრადში მოსახლეობის რაოდენობის გაზრდის მიზნით სახლები და მიწის ნაკვეთები 1 ხორვატულ კუნად (0,15 დოლარი) იყიდება. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი ტელევიზია ავრცელებს. ლეგრადში ახლა 2241 ადამიანი ცხოვრობს, ხორვატიაში დემოგრაფიული ვარდნა კი 2013 წელს, ევროკავშირში შესვლის შემდეგ დაიწყო. ამის გამო ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს გარკვეულ დარგებში, მაგალითად, ტურიზმსა და მშენებლობაზე უცხოელები დაასაქმოს. სახლის ან მიწის ნაკვეთის 1 კუნად შეძენა მხოლოდ 40 წლამდე ადამიანს შეუძლია და მან ლეგრადში სულ მცირე 15 წელი უნდა იცხოვროს. ამის სანაცვლოდ ადგილობრივი ხელისუფლება მას სახლის შესაძენად 35 ათასი კუნის (5100 დოლარი) სუბსიდიას გამოუყოფს და 25 ათასი კუნის (3600 დოლარი) ფარგლებში რემონტის ხარჯების კომპენსაციას გადაიხდის.

ღვთისმსახურება... მრევლის გარეშე

იტალიაში კორონავირუსის გავრცელების გამო დაწესებული მკაცრი საკარანტინო ზომები საეკლესიო წირვებსაც შეეხო. ვატიკანში განაცხადეს, რომ აღდგომის დღესასწაულამდე ყველა ღვთისმსახურება მრევლის გარეშე ჩატარდება. ლომბარდიის რეგიონის კრედიერო-რუბიანოს კომუნაში შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი იპოვეს. მღვდელ ჯუზეპე კორბარის ინიციატივით, მრევლმა ეკლესიაში თავისი ფოტოები გაგზავნა, რათა ასეთ დროსაც კი ტაძარი ცარიელი არ ყოფილიყო.

INSTAGRAM-ის ვარსკვლავი

12 კვირის ოქროსფერი რეტრივერი სახელად რი Insagram-ის ახალი ვარსკვლავი გახდა.

ლეკვს მარცხენა ყური დედამ მშობიარობისას შემთხვევით მოაჭამა. ლეკვი სასწრაფოდ ვეტერინარულ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მას ნაკერები დაადეს და 24 საათის განმავლობაში ზრუნავდნენ მასზე. 6 კვირის შემდეგ კი ლეკვის მარჯვენა ყურმა ადგილმდებარეობა შეიცვალა და მისი თავის ცენტრში გადაინაცვლა. თუმცა უჩვეულო გარეგნობამ რის მხოლოდ პოპულარობა მოუტანა — მას Instagram-ზე უკვე 51 ათასი გამომწერი ჰყავს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქოგულია

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორ პრესში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 მარტს.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9942; ევრო - 3.3421;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7736;
100 რუბლი - 4.1028; თურქული ლირა - 0.4765;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7635;
1000 სომხური დრამი - 6.1277.

ამინდი 17 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-5	დღე	+6
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84

ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru

და sakresp@top.ge

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge